

# ხობის მოამბე

№7 (7076)
12 აპრილი,
ხუთშაბათი, 2012 წელი.
ფასი 70 თეთრი.

## 15 აპრილი–აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, გილოცავთ!



აღდგომა, აღდგომა უფლისა! დღესასწაული დღესასწაულთა და ზეიმთა ზეიმი; იგი იმდენად აღმატებულია ყველა, თვინიერ საუფლო დღესასწაულზე, რამდენადაც მზე აღემატება ვარსკვლავებს.

აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიღა არს საფლავსა შინა, აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

წმიდა იოანე ოქროპირი

## საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო...

„ჩვენი ამოცანაა, წელს საქართველოში დამუშავდეს ბევრად მეტი მიწა, მიუხედავად ყველაფრისა, ვიდრე დამუშავდა წინა წლებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრად მეტ ოჯახს უნდა გაუჩნდეს შემოსავლის წყარო და ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს ქართული პროდუქცია და არა უცხოური.



იმ პირობებში, როცა ჩვენ სოფლის მეურნეობის პროდუქცია დდგ-სგან გავათავისუფლეთ, შევძლებთ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ტურისტების რაოდენობის გაზრდის ფონზეც და გარდა ამისა, შევძლებთ ექსპორტის გაზრდას. -საქართველოს მთავრობის გეგმაა, მოახდინოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, კერძოდ, გაორმაგდეს წარმოება, შეიქმნას მეტი საწარმო, დასაქმდეს მეტი ადამიანი და გაიზარდოს ექსპორტი.

*მიხეილ სააკაშვილი,*
*საქართველოს პრეზიდენტი.*

## 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებში იმართება ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ხალხმრავლობაა დედაენის ძეგლთან, სადაც სკოლის მოსწავლეები ლექსებს კითხულობენ, პოლიტიკოსები კი 1978 წლის 14 აპრილის დრამატულ მოვლენებს იხსენებენ.



## ჭალადიდის თემში „სოფლის სახლი“ გაიხსნა

პრეზიდენტის რწმუნებულმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, გურამ მისაბიშვილმა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გოგა ღურწკაიასთან და საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძესთან ერთად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ჭალადიდის თემში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ადმინისტრაციული შენობა დაათვალიერა. მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდისა [MDF] და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა. შენობაში სოფლის რწმუნებულთან ერთად, სოფლის დეპუტატი და ადმინისტრაციული სამსახურის სხვა თანამშრომლები განთავსდებიან, რომლებიც სოფლის 3000-მდე მკვიდრს სხვადასხვა სახის მომსახურებას გაუწევენ. „აღნიშნულ შენობაში მოსახლეობას საშუალება ექნება უშუალოდ შეხვდეს სოფლის რწმუნებულს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენელსა და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს, ყოველივე ეს კი, ხელს შეუწყობს უფრო მეტ კომუნიკაციას ხალხსა და ხელისუფლებას შორის. რაც შეეხება სოფლის შიდა გზების შეკეთებას, წყლის პრობლემებსა და სხვა საკითხებს, სამუშაოები ეტაპობრივად ხორციელდება და აუცილებლად შესრულდება, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს „სოფლის მხარდაჭერის საპრეზიდენტო პროგრამა“ ასრულებს“,–აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

გუბერნატორმა „სოფლის სახლის“ გარდა დაათვალიერა ჭალადიდის საბავშვო ბაღი, რომელიც გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) „ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამისა“. (დამფინანსებელი-ნორვეგიის მთავრობა) ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. ასევე, ჭალადიდის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ხელოვნურსაფარიან მინისტადიონს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.



*ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაცია*

## 9 აპრილის ტრაგედიიდან 23 წელი გავიდა...

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა და ათასობით მოქალაქე დაუდგენელი შემადგენლობის გაზით მოიწამლა.

1991 წლის 9 აპრილს, მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ, აღნიშნული თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

## 9 აპრილი–ტკივილისა და სიამაყის დღე

ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული და პატრიოტული მოტივაციით გაერთიანებული საქართველოს ყველა მოქალაქე 1989 წლის 9 აპრილს წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის სურვილს - ძირშივე მოესპო ქართველი ერის თვითმყოფადობის გამოვლინება. ახალგაზრდებმა, საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის ფასად, შეძლეს დაეხსნათ თავიანთი სამშობლო იმპერიის კლანჭებისგან და მიეღწიათ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის აპრილში აქციების დროს დაღუპული მოქალაქეების ხსოვნისათვის პატივის მისაგებად ქალაქ ხობში, 9 აპრილის მემორიალთან შეიკრიბნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო
>>>>>>> 5–12

სპორტი
>>>>>>> 16



დაიჯესტი

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ნებაყოფლობით რეზერვში გაწევრიანებული ადამიანების რიცხვი 100 000 მიაღწევს



საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ნებაყოფლობით რეზერვში გაწევრიანებული ადამიანების რიცხვი ზაფხულამდე 100 000 მიაღწევს.

როგორც პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ბოლო ცხრა თვის განმავლობაში, რეზერვში სულ 50 000 ადამიანი ჩაეწერა.

აღნიშნული ციფრი კი, იმ ადამიანებზე მეტყველებს, ვისაც თავისი ქალაქის, უბნის, კორპუსის დაცვა სურს, ამისათვის კი ისინი სახელმწიფოსგან წვრთნას და იარაღს ითხოვენ.

„ვინც დღეს საქართველოში ხელს აღმართავს ქართული ჯარის იდეაზე, მათ შორის რეზერვისტთა იდეაზე, მე ვაცხადებ, რომ ის პირდაპირ საქართველოს მტერს ემსახურება“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, ის ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით რეზერვში წევრიანდებიან, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და აღმსარებლობის ხალხია, მაგრამ მათ ყველას ქვეყნის სახელმწიფოებრიობა აერთიანებთ.

„ჩვენ არასდროს უნდა აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, როდესაც საქართველოს ერთ ნაწილს მტერი ჯიჯგნიდა, ხოლო მეორე ნაწილში რესტორნები სავსე იყო. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პერიოდიც იყო“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

## დავით ბაქრაძე: მმართველ გუნდს კონკურენციისა და მეტოქეობის არ ეშინია



პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე, „ქრისტიან–დემოკრატების“ საკონსტიტუციო ინიციატივებს მხარს უჭერს.

როგორც ჟურნალისტებს ბაქრაძემ განუცხადა, ის საპარლამენტო უმცირესობის ინიციატივას გაეცნო და წინადადებები მისთვის აბსოლუტურად მისაღებია.

მისი თქმით, მმართველ გუნდს, კონკურენციისა და მეტექეობის არ ეშინია, პირიქით, მათი ინტერესია საქართველო განვითარდეს, როგორც დემოკრატიული ქვეყანა და არჩევნები კონკურენტული იყოს.

„ვფიქრობ, რომ წინადადებები პრაქტიკულად ყველა იმ პრობლემას მოაგვარებს, რომელიც არსებობს ზოგიერთი ჩვენი ოპონენტის მოქალაქეობის სტატუსთან და საარჩევნო პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით,“ – დასძინა მან.

## გოკა გაბაშვილი: ჩვენი მიზანია საქართველომ დემოკრატიის ტესტი ღირსეულად ჩააბაროს



დეპუტატ გოკა გაბაშვილის შეფასებით, მმართველი გუნდი დაინტერესებულია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, საქართველომ, დემოკრატიის ტესტი ღირსეულად ჩააბაროს.

როგორც ამერიკის ელჩის, ჯონ ბასის განცხადებასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებს გაბაშვილმა განუცხადა, მათი მიზანია – საპარლამენტო არჩევნებში, საქართველომ დემოკრატიულობის კუთხით, საერთაშორისო საზოგადოებისა და საკუთარი მოსახლეობის მაღალი შეფასება დაიმსახუროს.

„სპეკულაციებს, რომ რაიმე სახის არათანაბარი მდგომარეობა იქმნება, დღეს წერტილი უნდა დაესვას. ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ის უფლება ჰქონდეს, რაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნია“, – დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ ჯონ ბასმა საქართველოს მთავრობას თანასწორობის პრინციპის დაცვისა და პროცესის სწრაფად წარმართვისკენ მოუწოდა.

## საატესტაციო გამოცდების საცდელი ტესტირებები დაიწყო



საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 170-მდე სკოლაში 6-დან 13 აპრილის ჩათვლით, ფართომასშტაბიანი საცდელი ტესტირება ჩატარდება. პრეტესტებისას მეთორმეტეკლასელები გამოსაშვები გამოცდების დავალებებზე იმუშავებენ და ამით იმ გარემოს გაეცნობიანბ რომელიც საატესტატო გამოცდებზე ექნებათ.

საატესტატო გამოცდების საცდელი ტესტირების მიმდინარეობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი თბილისის №60 საჯარო სკოლაში აკვირდებოდნენ.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს, პირველად საქართველოშიბ საატესტატო გამოცდები კომპიუტერის მეშვეობითბ ე.წ. „CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდა, იგივე მეთოდით საატესტატო გამოცდები 2011-2012 სასწავლო წლის ბოლოსაც რვა საგანში გაიმართება. წელს არ იგეგმება რაიმე ცვლილება იგივე რჩება კომპეტენციის ზღვარიც. თითოეულ საგანში გამოცდა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.

სკოლებში მთელი წლის განმავლობაში საგამოცდო საგნებში აბიტურის საათები ტარდება, რომელზეც მეთორმეტეკლასელები განვლილ მასალას იმეორებენ და საატესტატო გამოცდებისთვის ემზადებიან. ყველა სკოლა ტექნიკურად გამართულია და მზად არის გამოცდების ჩასატარებლად.

## სმოლენსკის ტრაგედიიდან 2 წელი შესრულდა

სმოლენსკში მომხდარი ავიაკატასტროფიდან, დღეს ორი წელი შესრულდა. კატასტროფის წლისთავთან დაკავშირებით, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებია დაგეგმილი. პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის და მასთან ერთად დაღუპულ ეკიპაჟის სხვა წევრებს, ტრაგედიის ადგილზეც გაიხსენებენ. ღონისძიებები ჩატარდება კატინსა და ვარშავაში.



ლეხ და მარია კაჩინსკებს თბილისში, კათოლიკურ ეკლესიაში მოსახსენიებელ პანაშვიდს გადაუხდიან.

შეგახსენებთ, პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავმა 2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან განიცადა ტრაგედია. ბორტზე იმყოფებოდა 96 ადამიანი, - ქვეყნის პრეზიდენტი და უმაღლესი თანამდებობის პირების დიდი ურავლესობა.

სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომიტეტმა 2011 წლის 12 იანვარს გამოაქვეყნა ტექნიკური გამოძიების შედეგებზე დაფუძნებული დასკვნა, რომლის თანახმადაც კატასტროფის მიზეზი იყო ეკიპაჟის გადაწყვეტილება, არ გამოეყენებინათ სარეზერვო აეროდრომი, კატასტროფის სისტემურ მიზეზად კი ფრენების უზრუნველყოფაში აღმოჩენილი ნაკლოვანებები და არასათანადოდ მომზადებული ეკიპაჟი დასახელდა.

## საქართველოს მთავრობამ სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროგრამა შეიმუშავა

საქართველოს მთავრობამ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამა“ შეიმუშავა.

პროგრამასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა, ნიკა გილაურმა დადგენილება 28 მარტს გამოსცა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული პროგრამის მიზანია სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა და განვითარება.

კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციის კომპონენტი ფსიქიატრიული დაწესებულებების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებს მოიცავს.

ამასთან, პროგრამის ფარგლებში, ფსიქიატრიული დაწესებულებების აღჭურვა მოხდება ერთი რეანომობილით, ორი ორხიდიანი მაღალი გამავლობის სასწრაფო დახმარების ავტომანქანითა და სტომატოლოგიური მომსახურების უზრუნველსაყოფად, სპეციალურად აღჭურვილი ორი მანქანით.

რაც შეეხება ამ პროგრამის ბიუჯეტს, ის 8 784,0 ათასი ლარით განისაზღვრება.

## სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველსაყოფად პროგრამა შემუშავდა



მთავრობამ, სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, სპეციალური პროგრამა შეიმუშავა.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა დადგენილება გამოსცა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ პროგრამის მიზანია - ფარმაცევტული ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული, წუნდებული და ვადაგასული სამკურნალო საშუალებისაგან.

აღნიშნულ პროგრამა მიმდინარე წლის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება და მისი ბიუჯეტი 70 000 ლარით განისაზღვრა.

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, საკრებულოს სხდომაა, რომელიც როგორც კანონი ითვალისწინებს თვეში ერთხელ ტარდება.

საკრებულოს სხდომას, როგორც წესი საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლები, სამსახურების ხელმძღვანელები, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები ესწრებიან.

საკრებულოს სხდომის მიმართ ინტერესი მეტია მაშინ, როცა იქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები იხილება, ისეთები, რომლებიც შეეხება გაწეული მუშაობის ანალიზს, მიმდინარე რეფორმებს, მომავლის პერსპექტივებს, ახალი პროექტების განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

27 მარტს ჩატარებული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი განსახილველ საკითხთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ამიტომაც საზოგადოების დაინტერესებაც დიდი იყო, რამაც ასახვა სხდომათა დარბაზის შევსებულ რიგებზე ჰპოვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ, სხდომის გახსნის შემდეგ დღის წესრიგი დაამტკიცა, რომელიც 15 საკითხით იყო წარმოდგენილი, აქედან ერთი საკითხის განხილვა შემდგომი სხდომისთვის გადაიდო.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 14 საკითხი:

1. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე” (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი ა. ვარდია-გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

3. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (მომხსენებელი: ა. ვარდია-გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

6. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს შეთანხმების თაობაზე“ (მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

7. განკარგულების პროექტი „შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბოკუჩავა-გამგებლის მოადგილე);

8. ანგარიშის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: მ. ბოკუჩავა-გამგებლის მოადგილე);

9. ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: მ. წულეისკირი-გაერთიანების დირექტორი);

10. ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: ხ. ხორავა-ცენტრის დირექტორი);

11. ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: ბ. ნადარაია-ცენტრის დირექტორი);

12. ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: შ. საბახტარაშვილი-ცენტრის დირექტორი);

13. ანგარიშის მოსმენა შპს „ხობის მოამბეს“ მიერ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: მ. ლაგვილავა-შპს „ხობის მოამბეს“ დირექტორი);

14. ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი: ნ. თათარიშვილი-ცენტრის დირექტორი).

ყველა საკითხი დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და განხილული, რაზეც მოწმობდა თითოეული საკითხის გარშემო გამართული დებატები.

განხორციელებული სამუშაოს, მიღწეული შედეგის და მიმდინარე საკითხების შესრულების მდგომარეობის მიუხედავად, იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული შეფასებები, მწვავე რეპლიკები.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულიქნა სათანადო დადგენილებები, რის შემდეგაც სხდომა დახურულად გამოცხადდა. დასასრულს საკრებულოს თამჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ, ტრადიციულად, –მარტის თვეში დაბადებულ დეპუტატებს დაბადების დღეები მიულოცა.

**მანანა შულაია**

# საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული პროექტები გრძელდება



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე „მოქალაქეთა მიღების საათის” ფორმატის ფარგლებში ზედა ზონის (ძველი ხიბულა, ახალი ხიბულა, საჯიჯაო, ბია) მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის, ხეთის, ხამისკურის, თორსა-ღლვაბის, ქვემო ქვალონის, ზემო ქვალონის, ნოჯიხევისა და გურიფულის თემებისა და სოფლების მოსახლეობას შეხვდა. ის ადგილზე გაეცნო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მათს წინაშე არსებულ პრობლემებს და მათთან ერთად დასახა პრობლემების მოგვარების პერსპექტიული გზები.

საკრებულოს თავმჯდომარე გაეცნო თემებსა და სოფლებში ფუნქციონირებად სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებსა და კულტურულ ობიექტებში არსებულ მდგომარეობას, დაათვალიერა თემების ადმინისტრაციული შენობები და კონკრეტულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

„მოქალაქეთა მიღების საათი“ გრაფიკის შესაბამისად გაგრძელდება.

# ტრენინგი ამომრჩეველთა სიის დაზუსტების პროგრამაზე—„კარდაკარ“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიზნით, შექმნილია ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა წარმომადგენლობამ ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრატორებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „კარდაკარი“. „კარდაკარი“ არის თითოეული ოჯახის კარდაკარ შემოვლისა და ამომრჩეველთან უშუალო კონტაქტის გზით ამომრჩეველთა სიის დაზუსტების ერთ-ერთი მეთოდი. კომისია დაკომპლექტებული იყო ხელისუფლების, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით.

ტრენინგი მიზნად ისახავდა ხობის მუნიციპალიტეტის 92 რეგისტრატორისათვის პროგრამის– „კარდაკარი“ მუშაობისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას.

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები**

# ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება



ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება ეტაპობრივად მიმდინარეობს. ამჯერად, პროგრამის ფარგლებში, მთავრობის 2011 წლის №735 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ხობში, წერეთლის ქუჩიდან, დავით აღმაშენებლის ქუჩის პირველ ჩიხამდე, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. კერძოდ, ობიექტზე მოხდა გადასასვლელი ხიდ-ბოგირებით რკინა-ბეტონის არხის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების ჩატარება ხელს სტიქიის შედეგად არსებული პრობლემების შემცირებას შეუწყობს.

# „ჯვარცმული ბედნიერება“



ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან“ არსებული თეატრალური დასის მიერ წარმოდგენილიქნა პრემიერა სპექტაკლისა – „ჯვარცმული ბედნიერება“, რომელიც ჯემალ მონიავას პიესის მიხედვით, რეჟისორმა რამაზ ლოლუამ დადგა. „ჯვარცმული ბედნიერება“ აფხაზეთის ომის თემაზეა შექმნილი და სამოქალაქო ომის ფონზე განვითარებული აფხაზი გოგონასა და ქართველი ბიჭის სიყვარულის ამბავზე გვიამბობს.

სპექტაკლში თეატრალური დასის მსახიობებთან ერთად, ქ. ხობის №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. პრემიერას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები**

# გამგებლის შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია განაგრძობს მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობასთან შეხვედრებს. მორიგი შეხვედრა 4 აპრილს, შუა ხორგისა და ქარიატის თემებსა და სოფელ ყულევში გაიმართა, სადაც ადგილზე მოხდა მოსახლეობისათვის პრობლემური საკითხების განხილვა. მოსახლეობის მხრიდან ძირითად პრობლემად დაისვა გზების მოხრეშვის, სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის საკითხი, ასევე, ნაპირსამაგრი სამუშაოების აუცილებლობა, რომელიც მდინარის ადიდების შემთხვევაში საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებსა და სახნავ-სათეს მიწებს. შეხვედრაზე გამგებელმა მოსახლეობას გააცნო უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელი გეგმები და პროექტები, ასევე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” ჩასატარებელი სამუშაოები, რომელიც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით იქნა შერჩეული. გამგებელი სოფლის მაცხოვრებელთ საგაზაფხულო სამუშაოების ნორმალურად წარმართვისათვის ტექნიკის მობილიზებას დაპირდა. „ადგილზე შესწავლილი და მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას, დავსახო სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება არსებული პრობლემების ეტაპობრივი განხორციელება,“– აღნიშნა გოგა ღურწკაიამ.

# ქსელური შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტში



5 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“-ის (CHCA) მიერ ჩატარდა ქსელური შეხვედრა პროექტზე: „შესაძლებლობების განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის სერვისების უზრუნველყოფა სამეგრელოს რეგიონში”, რომელსაც ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილე მურთაზ ბოკუჩავა, გამგეობის სამსახურების უფროსები, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” წარმომადგენელი და სათემო ჯგუფის წევრები. შეხვედრაზე სათემო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთ თემებში არსებული პრობლემური საკითხები, კერძოდ, გზის რეაბილიტაციისა და სანიაღვრე არხების ამოწმენდის საკითხი, თემებსა და სოფლებში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი, ასევე ისაუბრეს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ. პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი მიზანია თემში მცხოვრები ადამიანებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, აგრეთვე თემში არსებული პრობლემების გამოვლენა და ამ პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზების მოძიება

# შეხვედრა მექანიზატორებთან



გამგეობის სააქტო დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა ღურწკაიას ინიციატივით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მექანიზატორებთან შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ერთობლივად განხილვა იყო. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა ღურწკაიამ, გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის საკითხებში ბესიკ ნაჭყებიამ და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა ანატოლ სიჭინავამ. გამომსვლელებმა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში დროულად ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. გამგებელმა, ასევე, ისაუბრა ხელისუფლების ინიციატივაზე მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამარტივებული წესით მესაკუთრეზე გადაცემასა და მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების დარიგების დადებით მხარეებზე. მექანიზატორებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს მადლობა გადაუხადეს თანადგომისთვის და გამოთქვეს მზადყოფნა, მხარში დაუდგნენ ხელისუფლებას, რათა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ .

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები**

## სტუმარი

*რესპოდენტი, რომელიც რუბრიკა „სტუმარის“ სახით მინდა წარმოგიდგინოთ, გახლავთ, ყველა თაობისთვის ცნობილი პიროვნება ქალბატონი ზაირა ცხადაია. ყველა თაობა იმიტომ ვახსენე, რომ მასწავლებლის პროფესია თავადაა ასეთი და, თუ მასწავლებელი წარმატებულია, თავისი საგნის კარგი მცოდნეა, თუ ის მოსწავლეებს ძალიან უყვართ, ეს ცნობადობა ათმაგად იზრდება.*

*წლებია, რაც ქალბატონი ზაირა ახალი თაობის აღზრდას ემსახურება. მიუხედავად სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისა, ბოლოს გულმა მაინც სკოლისაკენ გაუწია და ის ამჟამად ხობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულს დიდი რუდუნებით, დილიდან საღამომდე შეუძლია მოსწავლეებთან მუშაობა, ამაზე მეტყველებს მის მიერ მიღწეული შედეგები მოსწავლეებთან, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს სკოლა და ასევე წარმატებით აგრძელებენ განათლების მიღებას სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებელში.*

*თუ რას ფიქრობს ის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, როგორია დღევანდელი გადასახედიდან ხობი, რას ნიშნავს მისთვის სკოლა, პედაგოგობა, ამ და სხვა საინტერესო თემებზე ინტერვიუდან შეიტყობთ.*

# „ჩემი ოჯახის სიმდიდრე, მხოლოდ წიგნები იყო...“

***ქალბატონო ზაირა, რითი დაგამახსოვრათ თავი განვლილმა წელმა?***

–რით დამამახსოვრა თავი განვლილმა წელმა?! გიპასუხებთ, რომ მტკივნეულად და უფრო მეტად–წარმატებულად. მტკივნეულად, რადგან სასერთიფიკატო გამოცდებზე ქულები დამაკლდა. მიუხედავად ამისა, თავი გამარჯვებულად მიმაჩნია (რასაც პირველად ვლაპარაკობ ასე ხმამაღლა!) ჩემი აზრით, მთავარია მიღწეული შედეგი მოსწავლეებთან და არა სერთიფიკატი. გასულ წელს სკოლა წარმატებულად დაამთავრეს მოსწავლეებმა, რომლებსაც შვიდი წელი ვასწავლიდი, მათ შორის ოთხმა ოქროსა და ვერცხლის მედალზე, ოთხივე მათგანი: მარიკა ჯანჯღავა, თათია კვირტია, ლევან სიჭინავა და გოგა ლატარია ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებში. იგივე მოსწავლეები და ბევრი სხვა, არაერთხელაა გამარჯვებული რესპუბლიკურ საგნობრივ ოლიმპიადებში. 28 კურსდამთავრებულიდან 14 ჩაირიცხა სხვადასხვა უნივერსიტეტში, ანუ კურსდამთავრებულთა 50%, თუმცა, აქვე დავძენ ანალოგიური შედეგებით დაამთავრეს ჩვენი სკოლა წინა წლების კურსდამთავრებულებმა. ეს ყველაფერი მთელი სკოლის კარგ მუშაობად უნდა ჩაითვალოს. წარმატება მარტო ერთი საგნით არ განისაზღვრება! ვფიქრობთ, წელსაც მივაღწევთ შედეგებს. წინ უფრო რთული, საატესტატო გამოცდები გველოდება.

***თუ შეიძლება, ცოტა რამ თქვენი ცხოვრებიდან მოგვიყევით?***

–მიუხედავად ჩემი მძიმე ბავშვობისა (მამა 40 წლის ასაკში გარდაიცვალა) დღეს ბედნიერი ვარ, მყავს ქალვაჟი და ორი წლის შვილიშვილი–ნინო შენგელია. ვუძლებ რთულ ცხოვრებას, იმედი მაქვს მომავლის, პრობლემებით არავის ვაწუხებ.

***როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ წლების განმავლობაში ჩამოშორებული იყავით პედაგოგობას, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდით. თქვენ საკმაოზე მეტი გამოცდილება დაგიგროვდათ, ამის შესახებ რას გვეტყოდით?***

–მოსწავლეობის პერიოდში დამლაგებლად სამი წელი ვიმუშავე. ინსტიტუტთან ერთად, პარალელურად ვსწავლობდი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, ხუთოსნობის სტიპენდია რომ მიმეღო, ასევე ერთდროულად ვმუშაობდი სვადასხვა რესპუბლიკურ გამომცემლობის რედაქციაში, რითაც დედას ვშველოდი, მესწავლა დამოუკიდებლად. ვმუშაობდი: კუთხე ნოჯიხევისა და გურიფულის არასრულ საშუალო სკოლებში, ხობის №1 და №2 საშუალო სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორად. 1981 წელს სამუშაოდ გადამიყვანეს პარტიის რაიკომში კონსულტანტად, პარალელურად ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას ხობის №1 საშუალო სკოლაში. კარგად არ მახსოვს, განათლების სამინისტრომ, თუ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ახალი კანონი, რის საფუძველზეც ჩამომერთვა საათები. დამაწერინეს განცხადება განთავისუფლების შესახებ. როცა პარტიული სისტემა დაინგრა, სკოლაში არ მომცეს მინიმალური 6 საათი, რაც რაღაც საარსებო წყარო იყო ჩემი შვილებისთვის. სამინისტროს ჩარევით დავიწყე მუშაობა №1 საშუალო სკოლაში, სადაც ჩემი პირობის შესაბამისად, მხოლოდ ერთი წელი ვიმუშავე. ის პერიოდი მწარედ მახსენდება. (მიუტევოს უფალმა ყველას! დღეს ჩვენი შვილები მოდიან! მათ სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ და არა სიძულვილი). 1993–94 წლებში ვიყავი კულტურის განყოფილების გამგე, პირადი განცხადების საფუძველზე მივატოვე მუშაობა და დროებით, რამდენიმე წლით ოჯახთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადავედი. 2002 წელს მუშაობა დავიწყე ქალაქ ხობის საკრებულოში, საიდანაც ისევ ჩემს მშობლიურ სკოლას დავუბრუნდი.

***განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, როგორც პედაგოგი, როგორ შეფასებას მისცემდით?***

–განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, რა თქმა უნდა, ძირითადად, ვაფასებ დადებითად. გავიხსენოთ მისაღები გამოცდები, დაუფარავი მექრთამეობა. ვინც ამ სიტყვებს წაიკითხავს, არა მგონია შემედავოს. დღეს ყველა აბიტურიენტისთვის კარი ღიაა, ცოდნა არავის ეკარგება, აქვს უამრავი არჩევანის უფლება, შეუძლია თავისი საგამოცდო ნამუშევარი კომპიუტერიდან ამობეჭდოს, საკუთარი თვალით გააკეთოს ანალიზი.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო პედაგოგთა გადამზადება, რაც განათლების სამინისტროს, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის ფონდი „განათლების ინსტიტუტი“–მიერ, ორგანიზებულად ჩატარდა, ეს ყოველივე ხობის რესურსცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონ ხათუნა გერგაიას ნაყოფიერ მუშაობად უნდა ჩაითვალოს.

პირადად, მონაწილეობა მივიღე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფონდ „ირმის ნახტომის“ და „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში–„ინტეგრირებული საგაკვეთილო გეგმები“. 2008 წელი ჩემთვის იყო გამარჯვების წელი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ბევრი რამე შევიძინე ტრენინგ–კონკურსებზე.

ნინო, რადგანაც თქვენი კითხვა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს შეეხება, მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ინგლისური ენის სწავლების შესახებ. ცხადია, დღეს აუცილებელი თუ არა, სასურველი ხდება ყველა ახალგაზრდამ ისწავლოს ინგლისური ენა. როგორც სხვებს, მეც მიფიქრია, ხომ არ დაიჩრდილებოდა ქართული ენა. გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედაენის ამარაო... ისწავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები, მაგრამ არასდროს არ დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს მშობლიურ ენას და შემდეგ შეუდგება უცხო ენების შესწავლას.“

აი, როგორ დამოძღვრა ახალგაზრდობა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა. ჩვენი თაობა დღეს აცნობიერებს, თუ რა დავაკელით საკუთარ თავსა და უფრო მეტად შვილებს.

***როგორ გაიხსენებდით მოსწავლეობის პერიოდს, რა საგნები გიტაცებდათ უფრო?***

–დავამთავრე ნოჯიხევის 8 წლიანი და ხობის №1 საშუალო სკოლა. ყველა მასწავლებელმა თავისი ადგილი დაიკავა ჩემს ხსოვნაში. დაწყებითი კლასებიდან გავიხსენებ ერთ მათგანს–ქალბატონ აგრაფინა გაბელიას, რომლის ხელწერა დღესაც მეამაყება. იყო ნამდვილი პედაგოგი, სკოლაში საკუთარი ბოსტანი ჰქონდა, გვაპურებდა და სახლში მომზადებული გაკვეთილებით გაგვისტუმრებდა. ნოჯიხევის 8-წლიანი სკოლის ჩემი ყოფილი მასწავლებლებიდან არავინ არიან ცოცხლები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველა!

ხობის №1 სკოლამ განსაკუთრებული სიყვარული დატოვა ჩემში. მოკრძალებით ვიხსენებ ყველა მასწავლებელს. გაზეთის საშუალებით მინდა მოვეფერო ჩემს უსაყვარლეს მასწავლებლებს, ქალბატონებს: ვერა ებანოიძეს, ზინა წულაიას, ციალა ზაქარაიას და ეთერ კვიკვინიას. მეამაყება, რომ დამთავრებული მაქვს ხობის №1 სკოლა. სიყვარულით ვიხსენებ ამ სკოლის ღირსეულ მასწავლებლებს ქალბატონებს: ალექსანდრა ბერაიას, ოლია იოსავას, ნინო გოგინავას, ოქტიაბრინა ჯორჯიკიას, ლიანა ლატარიას. ბატონებს: კლიმენტ ბებურიას, ვალერიან იოსავას, ვალერიან ბიგვავას, შალვა კალანდიას, ოთარ სახეიშვილს, ლუდოვიკო წურწუმიას, ანზორ კაკაბაძეს, მიხეილ დანელიას, დავით ჭელიძეს, ნიკოლოზ სასანიას, გიორგი ხასიას, ბორის გვასალიას.

მოსწავლეობის პერიოდს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვიხსენებ. სკოლის დირექტორი გახლდათ ბატონი ვალერიან იოსავა, მოადგილედ მუშაობდნენ: ქალბატონი ალექსანდრა ბერაია და ბატონი შალვა კალანდია. მართალია, რომ იყო მკაცრი კანონები, მაგრამ იყო დისციპლინა, კლასში გვყავდა ორი მედალოსანი: პაატა რეკვავა და რევაზ ზარქუა, რომლებმაც სამეცნიერო ხარისხი დაიცვეს. კლასის უმრავლესობა მაღალნიშნოსანი იყო.

***ამბობენ, უწინ უფრო განათლებული თაობა იყოო...***

–ნინო, გეთანხმებით, რომ ამას ამბობენ, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა გავაანალიზოთ და შევადაროთ წარსული და ახლანდელი დრო. დღეს უამრავი საკომუნიკაციო საშუალება არსებობს, ბავშვებს უსწრაფესად შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, ის, რაც არ იციან და რაც უნდა იცოდნენ, ჩვენ უნდა მივცეთ, ვასწავლოთ, ვაზიაროთ ქართულ კულტურას, წარსულის ტრადიციებს, ახლანდელ თაობას აქვს ზოგადი განათლება. ჩემი თაობისთვის მარტო წიგნი არსებობდა, წიგნის კითხვისთვის უფრო მეტი დრო გვქონდა. კარგი იყო, რომ ბევრ რამეს, პოეზიის ნიმუშებს ზეპირად ვსწავლობდით, მაგრამ გვიჭირდა ბევრი რამის სიღრმისეული გააზრება, მთავარია, ბავშვი პატარაობიდანვე მივაჩვიოთ წიგნის კითხვას. მას თვითონ გამოუმუშავდება კითხვის ინტერესი.

ასე რომ, მკაცრად ნუ განვსჯით ახალ თაობას! ჩვენ კარგად არ ვიცნობთ მათ! ჩვენ გვყავს შესანიშნავი თაობა; გონებამახვილი, ნიჭიერი, შემოქმედი, ლაღი, თავისუფალი...

***ლიტერატურა ვინ შეგაყვარათ?***

–დედაჩემი, მარო გოგოლი, მთელი ცხოვრება მუშაობდა ხობის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ. ჩემი ოჯახის სიმდიდრე მხოლოდ წიგნები იყო–სხვა არაფერი. მამაჩემმა სიკვდილის წინ, სამი დღით ადრე, ლექსად დაწერილი ანდერძი დატოვა, რომელშიც წერდა, რომ მე უნდა დამემთავრებინა ფარმაციის ფაკულტეტი, სამწუხაროდ მისი თხოვნა ვერ შევასრულე. ჩემი და მამზადებდა მისაღები გამოცდებისთვის და მისი რჩევით ფილოლოგიურზე ჩავაბარე.

***ახლანდელი გადასახედიდან როგორია ხობი, როგორი იყო ის თქვენს ბავშვობაში, ამჟამად რის გაკეთებას ისურვებდით?***

–დღევანდელი გადასახედიდან ცხადია, ხობი ბევრად ლამაზია ვიდრე ჩემს ბავშვობაში, განსაკუთრებით კეთილმოწყობილი პარკებით: თუმცა, ბავშვობის ხობი ძალიან მენატრება. მთრგუნავს ნაცარტუტად ქცეული ჩემი სკოლა, ხანძრისაგან დარჩენილი ერთი კედელი. აღვადგენ, მიწის რომელ მონაკვეთზე რომელი კლასი სწავლობდა. დახურული ბაზრის ყოველი მონაკვეთი მაგონებს ბატონი მიხეილ დანელიას სახელს, მთელი რაიონის ახალგაზრდების შეკრების ადგილს. მადლობა უფალს, რაც გადარჩა იმისთვის. ჩემი ბავშვობიდან სულ რამდენიმე შენობა დგას.

ნინო, იცით, რის გაკეთებას ვისურვებდი ხობში?! (რა საოცრება იქნება ეს სურვილი გამართლდეს!) ლამაზი, თანამედროვე ტიპის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის თავისი კეთილმოწყობილი პარკითა და სპორტული მოედნით აშენებას, ისეთივეს, როგორიც დიდ ქალაქებში დღეს შენდება. ჩვენს ლამაზ ხობს უფრო თანამედროვეს გახდიდა და დაამშვენებდა კიდეც, ბევრი ახალგაზრდის ოცნებაც ასრულდებოდა. გავიგე, რომ სპორტში დიდი სასიკეთო ცვლილებებია, კარგი იქნება აღდგეს წარსულის წარმატებული ფეხბურთი. ვარ დიდი გულშემატკივარი.

***და ბოლოს, თქვენი სურვილები, რას უსურვებდით ახალგაზრდებს?***

–პირველ რიგში, უსათუოდ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს. მათ უნდა გაითავისონ, რომ არიან XXI საუკუნის თაობა, არ უნდა დაივიწყონ წარსულის ტრადიციები, დიდი ილიას სიტყვები: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისა...“ რომ წარსულია მკვიდრი საძირკველი მომავლისა.

მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კარგად შეიცნობს თავისი ქვეყნის ისტორიას და შექმნის მომავალს.

და ბოლოს, ჩემი სურვილია ახალგაზრდობა იყოს სამართლიანი, კაცთმოყვარე, მიმტევებელი, სულიერად ძლიერი, ჰქონდეს მომავლის რწმენა, გააჩნდეს თანადგომის უნარი, ქველმოქმედი, წიგნიერი, კარგად იცნობდეს თავისი ქვეყნის კულტურას, ქვეყანას მხოლოდ გამჭრიახობა და ერთმანეთის სიყვარული გადაარჩენს! ქვეყნის, სარწმუნოების ერთგულნი. საერთოდ ძალიან მიყვარს ახალგაზრდობა, ღვთისაგან დალოცვილი იყვნენ ისინი და სრულიად საქართველო!

**ესაუბრა**
**ნინო გერგაია**

## პრეზიდენტის ინიციატივით მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ელექტროენერგიის ვაუჩერი მიიღო



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, განსაკუთრებით ცივი ზამთრისა და დიდთოვლობის გამო მოსახლეობისათვის შექმნილი პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით თითოეულმა ოჯახმა, მათ შორის ს.ს. ენერგო–პრო ჯორჯიას ხობის მომსახურების ცენტრის ყველა აბონენტმა ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერი მიიღო.

20 ლარიანი შეღავათი აბონენტის პირად ანგარიშზე ავტომატურად აისახება და სადისტრიბუციო კომპანიაში მისი წარდგენა არაა აუცილებელი. ვაუჩერი მიმდინარე წლის 1 ივლისამდე მოქმედებს.

## სამუსიკო სკოლაში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადება დაიწყო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრთან“ არსებულ სამუსიკო სკოლაში დაწყებითი და მაღალი კლასის მოსწავ-



ლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისა და ჩათვლითი პროგრამების მომზადება დაიწყო. სამუსიკო სკოლაში შესაბამის პროფესიას 81 მოსწავლე ეუფლება.

პრემიერა

## „ფეხშიშველა ზუსტად 15“

21 მარტს ქალაქ ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შედგა პრემიერა ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ გადაღებული სამოყვარულო მხატვრული ფილმისა–„ფეხშიშველა ზუსტად 15“. ფილმში ნაჩვენები იყო თანამედროვე საზოგადოების



ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის–ნარკომანიის უარყოფითი მხარეები და მისი გავლენა ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე. პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭე-

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია**

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

**27 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ მოისმინა ანგარიშები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“, პროფესიული სწავლების, განათლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, კულტურის ცენტრის, შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ.**

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

მურთაზ ბოკუჩავა – ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა თავის საქმიანობას წარმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონების, საკრებულოს გადაწყვეტილებებისა და გამგეობის დებულების შესაბამისად.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აქტიურად მონაწილეობს ხელისუფლების მიზანდასახულ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მუნიციპალიტეტში აღმშენებლობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თავის საქმიანობას წარმართავდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონების, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს, საკრებულოს გადაწყვეტილებების და გამგეობის დებულებების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2010 წლის 31 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებულიქნა მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტი. 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა დადგენილ ვადაში 2010 წლის 15 ნოემბერს. წარდგენილი ბიუჯეტის პროექტს თან დაერთო დანართი 236 ფურცელზე, რომელიც შეიცავდა გამგეობის სამსახურების, შსს ადგილობრივი ორგანოების და მუნიციპალიტეტის სუბსიდიაზე მყოფი იურიდიული პირების 2011 წლის ხარჯების პროექტების დაწვრილებით მონაცემებს.

დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილიქნა 7 ცვლილება. ყოველი ცვლილებისას მუნიციპალიტეტის საკრებულოში დროულად იქნა გაგზავნილი ცვლილების პროექტები შესაბამისი დანართებით. სამსახურის მიერ მომზადებულიქნა სხვადასხვა საკითხებზე 132 ბრძანების პროექტი.

შესყიდვების განსახორციელებლად წლის მანძილზე მომზადდა 392 ხელშეკრულების პროექტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დამტკიცებულ ვადებში წარედგინა 2011 წლის შესყიდვების გეგმა, ასევე დამტკიცებულ ვადებში ხდებოდა შესყიდვების მიმდინარეობაზე სათანადო ანგარიშების წარდგენა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოველთვიურად და კვარტალურად წარედგინებოდა ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშები და დამტკიცებული ფორმები. ყოველთვიურად დამტკიცებული ფორმების მიხედვით წარედგინებოდა მასალები კონტროლის პალატას. არც ერთ შემთხვევაში დაგვიანების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური თანამშრომლობს საწარმოებთან, აძლევს მათ რეკომენდაციებს და უქმნის ნორმალურ პირობებს საქმიანობის წარმართვისათვის.



მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 522 იურიდიული და ფიზიკური პირი, საიდანაც 21 საწარმო აწარმოებს სამრეწველო პროდუქციას, სოფლის მეურნეობაში რეგისტრირებულია 129, ვაჭრობაში 387, მშენებლობიდან 41.

მუნიციპალიტეტის იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მიხედვით შიდა პროდუქტმა შეადგინა 58 მილიონი ლარი, მათ შორის მრეწველობიდან 418 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობიდან 24 მილიონი ლარი, მშენებლობიდან 1.600 ათასი ლარი, ვაჭრობიდან 29.4 მილიონი ლარი, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 41 %-ს.

ბიუჯეტში ადგილობრივი მოსაკრებლების სახით შემოსულიქნა 231.9 ათასი ლარი, მათ შორის სანებართვო მოსაკრებელი 49.4 ათასი ლარი, ნაცვლად 16.1 ათასი ლარისა, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი33.8 ათასი ლარი,გეგმიური 31.9 ათასი ლარისა. მათ შორის ფიზიკური პირებიდან 4.6 ათასი, ხოლო 29.2 ათასი ლარი იურიდიული პირებიდან.

შემოსავლების მომსახურების გაწევიდან შემოსულია სულ 120.1 ათასი ლარი, გეგმის შესრულებას დააკლდა 11.7ათასი ლარი. მათ შორის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემოსულია 67.4 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 86.4 ათასი ლარისა, გეგმის შეუსრულებლობას დააკლდა 19 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია მშობელთა შენატანების განაკვეთების ცვლილებითა და ბავშვდღეთა რაოდენობის შემცირებით. ასევე ბიუჯეტში კულტურის ცენტრის მიერ შეტანილმა თანხამ შეადგინა 22.5 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლის მიერ შეტანილმა თანხამ 12 თვის მდგომარეობით შეადგინა 15.2 ათასი ლარი ნაცვლად დაგეგმილი 15.1 ათასი ლარისა. შპს „ხობის განათება დასუფთავებიდან“ მომსახურეობის შემოსავალმა შეადგინა 5.7 ათასი ლარი.დაგეგმილი1.5 ათასი ლარისა. ა.ი.პ ხობის პროფსასწავლებლიდან შემოსულმა შემოსავალმა შეადგინა 6.3ათასი ლარი. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოტანილია 148.9 ათასი ლარი. ნაცვლად, დაგეგმილი 107.0 ათასი ლარისა.

სამსახურის მიერ პერიოდულად მონიტორინგი უტარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქვიშის, კირქვისა და ღორღის მომპოვებელ მეწარმეთა მიერ ბიუჯეტთან ურთიერთობის საკითხებს, 2011 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 41 და ლიცენზია გააჩნია 41 სუბიექტს, წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებელს იხდიან მოპოვების შესაბამისად. 2011 წლის 12 თვის მონაცემებით სულ შემოსულია 109051 ლარი.

ექსპერტული შეფასებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებულიქნა 1300 ტონა ხორცი, 2000 ტონა რძე, 900 ათასი ცალი კვერცხი და 1100ტონა დაფნა, სიმინდი 28600 ტონა, ლობიო 10 ტონა, ციტრუსი 280ტონა, კივი 40 ტონა, თხილი 2600 ტონა, ხილი 1500 ტონა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა აგრარურ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის საწარმოთა რესტრუქტურიზაციამ და პრივატიზების მიმდინარეობამ, აგრარური რეფორმის გაღრმავებამ და მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, ის თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ფლობს 29942 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებს, მათ შორის სახნავი 12374 ჰა, საძოვარი 9000 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 8568 ჰა.

მრავალწლიანი კულტურებიდან ხეხილის ფართობი შეადგენს 1622 ჰა, მათ შორის თესლოვანია 107 ჰა-ზე, ხოლო კურკოვანი 1515 ჰა, ვენახი 33 ჰა-ზე, ჩაი 280 ჰა-ზე, ფეიხოა 12 ჰა-ზე, კერძო სტრუქტურებში არის 39023 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და2034 სული ღორი, 187 სული ცხვარი 468 სული თხა და 164 ათასი ფრთა ფრინველი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებულია 2204 ფუტკრის ოჯახი.

მოსახლეობის მიერ დამუშავებულიქნა სახნავი ფართობიდან 9840 ჰა, რომელზეც მოქცეულია ერთწლიანი კულტურები.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ, გამგეობის ხელშეწყობით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალწლიან ნარგავებზე ჩატარდა „ამერიკული თეთრი პეპელა“-ს საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიება ‘თერმული ნისლის ტექნოლოგიით, სულ დამუშავდა II ეტაპზე 520 ჰა ფართობი.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვემო ქვალონში ჯილეხის დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებებში. მოეწყო დაცემული 30 სული პირუტყვის სამარხი. შემოკავებულ იქნა მავთულბადით და დაიდგა სათანადო გამაფრთხილებელი აბრა.

სამსახურის მიერ კონტროლზეა აყვანილი სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის საკითხი, 2011 წლის მდგომარეობით საიჯარო ქირის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა 2.7 ათასი ლარი.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარაზე 3 ხელშეკრულება არის მოქმედი, მათ მიერ ყოველწლიურად ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 610 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწიდან მომქმედი იჯარა არის მხოლოდ 8.

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების პრივატიზებისა და საკუთრების უფლების გარკვევის საკითხი. დაზუსტებულიქნა გასამიჯნი ქონება, შედგა სია და მომზადდა ნახაზები, რომლებიც წარედგინა ეკონომიკის სამინისტროს, რის შედეგადაც 26 ობიექტის გადმოცემა განხორციელდა და გატარდა საჯარო რეესტრში, ხოლო გადმოსაცემად წარდგენილია 113 ობიექტი,კერძოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელები და სტადიონები. 2011 წელს განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება. მუნიციპალიტეტის 20 ტერიტორიულ ერთეულზე მომზადდა საკადასტრო ინფორმაცია საპრივატიზებო გეგმის შესაბამისად, რის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 200 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მეშვეობით. იჯარითა და უზურფრუქტის წესით გაიცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი გამოთავისუფლებული ობიექტები და ფართები.

2011 წლის 12 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 1667.5 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები, ნაცვლად დაგეგმილი 2421.3 ათასი ლარისა.

მათ შორის რეგიონალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ფონდით გამოყოფილი და მიღებული 580.3 ათასი ლარიდან ათვისებულია 274.3 ათასი ლარი. მათ შორის 166.3 ათასი ლარი გახარჯულიქნა სოფელ შუა ხორგაში (სამურღულიოს უბანი) მდინარე ხობისწყალზე ნაპირსამაგრ სამუშაოებზე გეგმით გათვალისწინებული 410.0 ათასი ლარიდან, აღნიშნული ობიექტი გარდამავალია. ამავე პროგრამით გათვალისწინებული ობიექტის სანიაღვრე არხის მოწყობა ქალაქ ხობში გურამიშვილის ქუჩაზე გეგმიური 90.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 29.0 ათასი ლარი, ობიექტი გარდამავალია. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 80.3 ათასი ლარიდან ათვისებულია 79.0 ათასი ლარი, კერძოდ გზების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 5.9 ათასი ლარიდან ათვისებულია 5.4 ათასი ლარი, ხიდების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 46.7 ათასი ლარიდან ათვისებულია 45.9 ათასი ლარი, სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 18.1 ათასი ლარი ათვისებულია სრულად, ნაპირგამაგრებითი სამუშაოებზე გეგმიური 9.6 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესასრულებლად მიღებული იქნა 722.6 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად პირველი ეტაპის სამუშაოებზე გახარჯულ იქნა 613.8 აქედან, სოფლის შიდა გზების მოხრეშვით სამუშაოებზე გახარჯულიქნა 248.0 ათასი ლარი. ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციოდ 80.1 ათასი ლარი. მოსაცდელებისა და ცხაურების სარეაბილიტაციოდ გახარჯულიქნა 41.6 ათასი ლარი. სოფლებში წყალსადენების სარებილიტაციოდ გახარჯულიქნა 56.1 ათასი ლარი. სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციოდ 38.9 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სამუშაოებზე 107.9 ათასი ლარი. ასევე განათლების ობიექტების კერძოდ ბაგა-ბაღებისა და საჯარო სკოლის (შუა ხორგა) სარეაბილიტაციოდ 41.2 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მეორე ეტაპზე გახარჯულ იქნა 88.4 ათასი ლარი, მათ შორის გზების რეაბილიტაციაზე –17.4 ათასი ლარი, ხიდ-ბოგირების –6.6 ათასი ლარი, წყალსადენის რეაბილიტაციაზე 22.9 ათასი ლარი, სანიაღვრე არხებზე–4.3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოებზე–30.3 ათასი ლარი. განათლების ობიექტების, კერძოდ, ხეთის საბავშვო ბაღისა და შუა ხორგის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციოდ–6.9 ათასი ლარი.

ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2011 წლის 1 იანვრისათვის გვერიცხებოდა აუთვისებელი თანხა 44.6 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულიქნა 25.5 ათასი ლარი კერძოდ, პირველი მაისის ბონდის ხიდის აღდგენით სამუშაოებზე 2.7 ლარი, საჯარო სკოლების, კერძოდ შუა ქვალონის, პატარა ფოთის, თორსისა და პირველი მაისის, სარეაბილიტაციოდ გაიხარჯა 7.7 ათასი ლარი, წყალმომარაგებაზე გაიხარჯა პატარა ფოთის შავღელის უბანსა და შუა ხორგის წყალსადენის ტუმბოს შეძენაზე–15.1 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 1050.60 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 585.1 ათასი ლარი. მათ შორის 70.5 ათასი ლარი გახარჯულია შიდა

>>>>>>>>>> 6

5<<<<<<<<<

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

**მურთაზ ბოკუჩავა – ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე**

გზების სარეაბილიტაციოდ, კერძოდ, ძველი ხიბულის საჯაკონიოს უბანში 5.0 ათასი ლარი, საჯიჯაოს ცენტრიდან მდინარე ხობისწყლის ხიდამდე დაზიანებული გზის სარეაბილიტაციოდ–2.8 ათასი ლარი, ხამისქურში საფარცვანიოს უბანში გზის აღდგენით სამუშაოებზე–2.1 ათასი ლარი, პატარა ფოთში შავღელეს უბანში 9 კილომეტრიან გზის მონაკვეთზე –19.9 ათასი ლარი, ზემო ქვალონის სარკინიგზო გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისათვის–1.30 ათასი ლარი, ნაგავსაყრელი პოლიგონის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციოდ–4.2 ათასი ლარი, შუა ხორგის სალატარიოს უბანში გზის სარეაბილიტაციოდ–3.1 ათასი ლარი, ხეთის ურთის მთაზე რადიო მონიტორინგის ანძაზე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციოდ გახარჯულია 11.2 ათასი ლარი, საჯიჯაო-ჯაპიშაქარის გზის 1.9 კმ გზის ორმულის შეკეთებისათვის გახარჯულია 5.3 ათასი ლარი. მუნიციპალური განვითარების ფონდში გადარიცხულია თანადაფინანსების 19.6 ათასი ლარი. ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციოდ გახარჯულია 26.6 ათასი ლარი, აქედან 11.5 ათასი ლარი გახარჯულია საჯიჯაო-ჯაპიშაქარის უბანში (საახალაიოს), ხიდის აღდგენით სამუშაოზე–14.9 ათასი ლარი, პირველი მაისის ბონდის ხიდის აღდგენით სამუშაოზე–4.7 ათასი ლარი. სოფელ საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციოდ. ნაპირსამაგრი სამუშაოები: კერძოდ, მდინარე ჭანისწყალზე სამუშაო შესრულებულია, ობიექტი ჩაბარებულია 145.8 ათასი ლარით. წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია: ათვისებულია 20.9 ათასი ლარი, მათ შორის პირველი მაისის ოქროს საწმისის უბნის წყალსადენის სარეაბილიტაციოდ–16.3 ათასი ლარი, ობიექტი გარდამავალია. სოფელ შუა ხორგაში წყლის ტუმბოს შეძენა-დამონტაჟება 1.7 ათასი ლარი, პ/ფოთის შავღელის უბნის წყალსადენის სარეაბილიტაციოდ 2.2 ათასი ლარი, ახალი სოფლის სანადარაიოს უბნის წყალსადენის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის 0.5 ათასი ლარი. მოეწყო ჭაბურღილი პოლიციის ეზოში 1.2 ათასი ლარის ღირებულებით.

კეთილმოწყობის სამუშაოები: სულ გახარჯულია 252.5 ათასი ლარი, აქედან საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობების სარეაბილიტაციოდ–77.4 ათასი ლარი, სპორტული მოედნების სარეაბილიტაციოდ–65.9 ათასი ლარი, სხვა შენობანაგებობების სარეაბილიტაციოდ–109.2 ათასი ლარი. კერძოდ, დასრულდა ხობში ახალი სასაფლაოს მოწყობის მეორე ეტაპი. კეთილმოეწყო სამების ეკლესიისა და საჯიჯაოს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია. მოეწყო ცოტნე დადიანის ქუჩაზე არსებული პარკებისა და სკვერების დაბალი განათება და ყოფილი სოფლის მეურნეობის შენობის ფასადი. აღდგენილიქნა საგადასახადოს შენობის გვერდით მხატვრული პანო. შეღებილიქნა კულტურის სახლის წინ არსებული სკვერის დეკორატიული ღობე. ჩაუტარდა სოფელ ჭალადიდის ადმინისტრაციულ შენობას გარე საინჟინრო ქსელების მონტაჟი და კეთილმოწყობის სამუშაოები. კეთილმოეწყო შუა ხორგის, საჯიჯაოსა და ჭალადიდის სტადიონები, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დათა ხურცილავასა და გოგა ჭითანავას სახელობის მინი სტადიონებს.

საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების სისტემების გაუმჯობესების მიზნით გახარჯულია 49.2 ათასი ლარი, აქედან სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე ეკლესიის უკანა მხარეს, კოლხეთის დასახლების მიმდებარე ტერიტორიას, აღმაშენებლის ქუჩიდან კოლხეთის დასახლებამდე, ჩაის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიას, ძველი რაპოს შენობის მიმდებარე ტერიტორიას, კოსტავასა და წერეთლის ქუჩასა და ვაჟა ფშაველას ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებს. ასევე სოფლებში საგვიჩიოსა და ყულევში, საჯარო სკოლებს.

საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაიხარჯა 29.5 ათასი ლარი. ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები საჯიჯაოს საჯარო სკოლის სპორტდარბაზსა და პ/მაისის საჯარო სკოლას, შემოღობვითი სამუშაოები ხეთის, ახალი ხიბულისა და პატარა ფოთის საჯარო სკოლებს. მოეწყო ჭაბურღილი შუა ხორგის საჯარო სკოლაში. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ჩაუტარდა სახურავის სარემონტო სამუშაოები 6.4 ათასი ლარის. საჯიჯაოს კულტურის სახლში ელექტრო სამონტაჟო და დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოებმა შეადგინა 47.6 ათასი ლარი.

გამგეობის ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა 2011 წლის 1 აპრილს. ფუნქციონირების პირველივე დღიდან სამსახური შეუდგა იურიდიული ბაზის შექმნას. შემუშავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა, რომელიც დამტკიცდა და დაიბეჭდა შესაბამისი წესების დაცვით (500 ეგზემპლარი). პარალელურად სამსახურმა დაგეგმა 6 თვის სამუშაო გეგმა , რაც ძირითადად ითვალისწინებდა ქალაქის ცენტრსა და ცენტრალური ავტომაგისტრალის მიმდებარე სოფლებში უკანონო და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟს ან მისი პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას . დემონტაჟს დაექვემდებარა 78 ობიექტი, იერსახე კი შეეცვალა 36 ობიექტს. დღემდე შედგენილიქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 3 ოქმი.

სამსახურის მონაწილეობით გასული წლის 5 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ უსასყიდლოდ ჩატარდა ,,ამერიკული თეთრი პეპელას პირველი თაობის მატლების საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიება. სულ დამუშავდა 1120 ჰა ფართობი. წამლობის ეფექტურობამ შეადგინა 80-85 %.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემულია 41 ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზია. მათ მიერ 2011 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოტანილია 109 051 ლარი,ასევე ტყის ფონდის მერქნული რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი 39 597 ლარი და გადამფრენი ფრინველების ამოღების მოსაკრებელი 270 ლარი. სულ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელმა შეადგინა 148 918 ლარი (გეგმა 107 000 ლარი).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფონდირებული სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულად, ეფექტურად და სრულყოფილად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით ბოლო რამოდენიმე წელია მუშავდება ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომელიც 2011 წელს დამტკიცდა სოციალური პაკეტი 305100ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი– 47500ლარით.

2011 წელს სოც პაკეტიდან ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 64000 ლარი, წლის განმავლობაში შემოსული იყო კომისიაში 1200–მდე მოქალაქის განცხადება სხვადასხვა საკითხებზე, რომელიც შესწავლილიქნა კომისიურად და გაიცა 602 მთხოვნელზე 64000 ლარის ფულადი დახმარება. წლის განმავლობაში დაბადებულ 315 ახალშობილზე გადაირიცხა 31500 ლარი.

პროგრამის შესაბამისად, დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან 85 ოჯახზე გაიცა 8500ლარი. დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით კი–500ლარი, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 39 ომის ვეტერანი დასაჩუქრდა 100-100 ლარით. აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გაეწია 3000ლარის დახმარება. უმწეოთა სასადილო 12-თვეში დაფინანსდა 60000 ლარით, სადაც იკვებება 100-მდე უმწეო.

უმწეო კატეგორიის მოსახლეობისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო წყლის საფასურის სუბსიდირება. 12-თვეში ჩაირიცხა 5366 ლარი 460 ოჯახზე. 10 გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე გაიცა 2500 ლარი, სტიქიით დაზარალებულთა და დამეწყრილთა 224 ოჯახს გაეწია 88000 ლარის დახმარება.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4052 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2286 კერძო სექტორში ცხოვრობს. გასული წლის განმავლობაში დევნილთა და ვეტერანთა განყოფილების მიერ მონიტორინგი ჩატარდა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში და დევნილთა სურვილის გათვალისწინებით სამინისტროსთან შეჯერდა იმ ობიექტების სია, რომელთაც რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს 2012 წელს. ეს ობიექტებია: კოლხეთის დასახლებაში 8 კორპუსი, ნოჯიხევის საბავშვო ბაღი, სამშენებლო სამმართველოს შენობა, გურიფულის ადმინისტრაციული შენობა, ასს-8, ახ.ხიბულის საბავშვო ბაღი, კმკ, ოქროს საწმისის კოტეჯები.

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება წლის განმავლობაში გაეწია 81 დევნილს 8035 ლარის ფარგლებში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის /აფხაზეთის ომში /დაღუპულთა 20 ოჯახს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გაეწია 3000ლარის დახმარება, თითოეულ ოჯახზე 150 ლარი.

განყოფილების მიერ წარდგენილი პროექტებითა და სამინისტროს ძალისხმევით სლოვაკი ინვესტორების მიერ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხეთაში ჩატარდა წყალსაცავის რეაბილიტაცია-განახლება, საიდანაც წყალით მარაგდება, როგორც თორსა-დღვაბის ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე მეურნეობაში ჩასახლებული დევნილთა ოჯახები, იმავე ინვესტორმა ამ ჩასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს საჩუქრად გადასცა ტრაქტორი და სათესლე მარცვალი და უზრუნველყო საცხოვრებელი კორპუსები საკვამურებითა და შემოღობვით, ასევე დააფინანსა ერთი დევნილის ტრენინგ-საგზური სლოვაკეთში.

მუნიციპალიტეტში უმწეოთა ბაზაში რეგისტრირებულია მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელთაგანაც ფულადი დახმარების მიმღებია 841 ოჯახი, ხოლო სამედიცინო პოლისის მფლობელია 8000-მდე ბენეფიციარი, რომელთა უმრავლესობას მომსახურეობას უწევს სადაზღვევო კომპანია „ბი სი აი ალდაგი“, ასევე სახელმწიფო დაზღვევით მომსახურება ეწევათ მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათებლო სკოლის პედაგოგებს, სახანძროს თანამშრომლებს, სექტემბრის თვიდან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით ისარგებლებენ პენსიონერები.

სამსახურში ხელშეკრულებით არის აყვანილი 16 სოც.მუშაკი, რომლებიც პერიოდულად უწევენ მეთვალყურეობას 80-მდე მარტოდ დარჩენილ მოხუცებს და ეხმარებიან მათ სხვადასხვა ყოფითი პრობლემის მოგვარებაში.

მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებებით ხორციელდება ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამა, რომელიც შეიმუშავა სამსახურმა სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროგრამით სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ, მოსახლეობის რაოდენობით პატარა სოფლებს, ეწევათ საექიმო და ექიმამდელი დახმარება, რომელსაც მოითხოვდა სოფლის მოსახლეობა და გამოყოფილია წლის განმავლობაში 47500ლარი. პროგრამის მიმდინარეობა პერიოდულად მოწმდება სამსახურის მიერ. 2011 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაისინჯა 2000-მდე პაციენტი, რომლებზეც დამყარებულია მეთვალყურეობა და მიეცათ დანიშნულებები.

მუნიციპალიტეტში მუშაობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილებით, რომელიც აკონტროლებს რაიონში ეპიდსიტუაციას და ეპიდსიტუაციის სტაბილიზაციისათვის იღებს სათანადო ზომებს.

წლის განმავლობაში ცენტრის მეთვალყურეობით ჩატარდა საექიმო ამბულატორიებში4458 აცრა. ვაქცინაციის შედეგად საერთოდ არ დაფიქსირებულა ბოლო წლებია, მუნიციპალიტეტში ისეთი საშიში დაავადებები როგორიცაა პოლიომიელიტი, დიფტერია. შემცირდა ტეტანუსით, წითელათი, წითურა, ცოფის, მალარიის და სხვა ინფექციური დაავადებების რიცხვი.

ცენტრის პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარდა 225 ანალიზი აქედან 124 აღმოჩნდა ჭიით ინვაზირებული. ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისათვის მიმართა 109 დაკბენილ-დადორბლილმა. მეთვალყურეობა დამყარდა 51-ზე, სრული კურსი პროფილაქტიკის ჩაუტარდა 45-ს, პირობითი–140-ს. დროულად ჩატარებული ვაქცინაციის შედეგად, ცოფით ადამიანის დაავადებას ადგილი არ ქონია.

„ასი ახალი საავადმყოფოს“ პროექტით მუნიციპალიტეტში გაკეთდა ახალი, 15 საწოლიანი საავადმყოფო-პოლიკლინიკა, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით. თანამშრომლებს და პაციენტებს აქვთ კომფორტულ გარემოში მომსახურება. გაიზარდა მომართვიანობის რიცხვი. წლის განმავლობაში სულ გატარდა 11685 პაციენტი, მათ შორის პოლიკლინიკურად–1086, ხოლო სტაციონარულად –824.

სამსახურის მიერ მომზადდა 2012 წლის პროგრამა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურების გასაფართოებლად.

მრავალფეროვნად და შინაარსიანად მიმდინარეობდა წლის მანძილზე მუშაობა კულტურის სფეროში, ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა ღონისძიება. განსაკუთრებულად აღინიშნა ისტორიული თარიღები: 9 აპრილი, 8 აგვისტო, 9 მაისი, 26 მაისი, დედის დღე, სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“ და სხვა, სამსახური აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

საერთაშორისო ფესტივალზე - ,,სიმღერა სამეგრელოზე“, რომელიც, ,,საქველმოქმედო ფონდი ,,ხობისა“ და მაჟორიტარი დეპუტატის პატრონაჟით ტარდება, საკმაოდ დიდი საორგანიზაციო საქმიანობა გასწიეს ხობის კულტურის თანამშრომლებმა, ანსამბლმა ,,კოლხეთმა“ მიიღო მონაწილეობა საკონცერტო ნომრით და მოწონებაც დაიმსახურა. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის და კანონი თვითმართველობის შესახებ, ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მისი, მომავალი თაობებისათვის შენახვას. მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო ისტორიულ ობიექტებზე მონიტორინგის ჩატარება, რადგან მათ უამრავი საფრთხე, განსაკუთრებით კი ადამიანის სამეურნეო საქმიანობით ემუქრება. ჩვენს მიერ დათვალიერებულ იქნა ისტორიული ძეგლების უმრავ-

>>>>>>>>>> 7

6<<<<<<<<<

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

მურთაზ ბოკუჩავა – ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ლესობა, განსაკუთრებით მიწისზედა ობიექტები, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, პირველ რიგში მოითხოვს ხე-მცენარეებისაგან და ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდას და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. ცუდი ვითარებაა სოფელ გურიფულის დასაწყისში მდინარე ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე არსებულ ელინისტური ხანის ნამოსახლარზე, რომელიც ირეცხება მდინარის მიერ, აღნიშნული ვითარების შესახებ ეცნობა კულტურის სამინისტროს, საიდანაც მოვლინებულიქნა ექსპერტი, თუმცა ძეგლის გადარჩენის მიზნით ღონისძიება ვერ გატარდა, რადგან ეს საკითხი პარალელურად მოითხოვდა ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რომლებიც ჩვენს ძალებს აღემატებოდა. ძეგლი ძალიან დიდია, მისი დიამეტრი 300 მეტრამდეა. ერთადერთი რაც ჩვენ შეგვეძლო, პერიოდულად გავდიოდით ველზე და ვკრეფდით არტეფაქტებს.

მიმდინარე წელს დაგვიგროვდა ძველკოლხური წარმომავლობის ნივთები, რომლებზედაც გამოსახულია წინაანბანური ტიპის, პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშები. მსგავსი ნივთები დიდი ხანია მოძიებული აქვს ცნობილ მკვლევარს გივი ელიავას, ისინი დაცულია მარტვილის მუზეუმში. ჩვენს მიერ მოძიებულ ნიმუშებს შორის საინტერესოა ხობის მონასტრის აღმოსავლეთით ძველკოლხურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვევრის ტუჩი, რომელზედაც წრეში ჩახატულია ჯვარი. წრე არის სრულყოფილების, მზის, მიწისა და კოსმიური სხეულების გრაფიკული ნიშანი, რომელიც მრავალ ანბანს, მათ შორის ქართულ ასომთავრულს დაედო საფუძვლად. ძველი ბერძენი ავტორების ცნობები იმის შესახებ, რომ ძველ კოლხებს დამწერლობა გააჩნდათ შესაძლოა სიმართლე აღმოჩნდეს.

ხობის მონასტერში დაფიქსირდა XVI საუკუნეში შესრულებული წმ. ნინოს ფრესკა და მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ექვსი არქეოლოგიური ძეგლი.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 6 ოქტომბრის №816 ბრძანებულების შესაბამისად ყოველი წლის მაისის პირველ კვირას კულტურული მემკვიდრეობის დღეები აღინიშნება, ამ დღეების განმავლობაში ადგილობრივი ახალგაზრდების მხარდაჭერით ხე-მცენარეებისგან გაიწმინდა ,,ყურუმულიას ჯიხა" სოფელ პირველ მაისში. 6 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობასა და საზოგადოებას რაიონის მოსწავლეთა სახლის სააქტო დარბაზში გავაცანით 2010 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები.

მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების შესახებ პერიოდულად ინფორმაცია პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტ სივრცეების საშუალებით ვრცელდებოდა.

მიმდინარე წლის ბოლოს 5 ისტორიულ ძეგლზე დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა : შესწავლილიქნა სოფელ ხამისკურში- ,,ნაბერაყუ" და ,,მისარონფერდი", სოფელ პირველ მაისში-,,ჯახუთის ციხე" და ,,მაჩხომერი", სოფელ თორსაში ,,შელიების დიხაგუძუბა". ამ სამუშაოს შედეგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბით წლის საუკეთესო აღმოჩენად, ჩვენს მიერ ფიქსირებულ იქნა 184 არქეოლოგიური ძეგლი, 13 ეკლესია, 15 ციხე-კოშკი, 28 ნაეკლესიარი.

ახალგაზრდობა საზოგადოების ის ნაწილია, რომლის მხარდაჭერაც თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ახალგაზრდებს, ეპოქალური მოთხოვნების შესაბამისად სჭირდებათ მრავალმხრივი განათლება. ასეთი ღონისძიებების რიცხვს მიეკუთვნება შეხვედრა საჯარო სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და გამგეობის წარმომადგენლობას შორის თემაზე: - ,,როგორ ვიცნობთ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს". მაღალი მოქალაქეობრივი შეხედულებების მქონე პიროვნებებად მოსწავლეთა ჩამოყალიბების ხელშეწყობა დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნაა. სწორედ ამ მიზნით შეხვედრაზე ახალგაზრდებს ინფორმაციები საზოგადოების განვითარების ისტორიის ფურცლებიდან მიეწოდათ.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსწავლეთა სამეცნიერო-სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე სამმა სექციამ იმუშავა. 1) სამოქალაქო საზოგადოების განვითარების; 2) მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა შემოქმედების შემსწავლელი და 3) ქართული ფოლკლორის შემსწავლელმა სექციებმა. გარდა იმისა, რომ კონფერენციის მასალებზე მუშაობამ ახალგაზრდებს მისცა კონკრეტული ცოდნა სექციებში გამოტანილი ნაშრომების გარშემო, ზოგადად, ხელი შეეწყო ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეული მაგალითების საფუძველზე არგუმენტირებულად მსჯელობის უნარის გამომუშავებას, საკვლევაძიებო სამუშაოს, პრეზენტაციის უნარის განვითარებას, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. გამოვლინდნენ კონფერენციაზე გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, მიღწეული წარმატებების შესაბამისად. ახალგაზრდების წახალისების მიზნით, მოეწყო ექსკურსია ბათუმში.

ახალგაზრდების სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის შეხვედრებსა თუ მსჯელობებს ჩაენაცვლა მუსიკალური კონკურსი - ,,ვარსკვლავები", რომელიც მე-3 წელია იმართება ჩვენს მუნიციპალიტეტში. 6-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ,სამი ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით, ორ ნომინაციაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებულები, დაკავებული ადგილების შესაბამისად დაჯილდოვდნენ, ხოლო კონკურსის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ექსკურსიით ქართლის მიმართულებით. (კავთისხევში – ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში; ხოვლეში-ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში).

ჩვენი ახალგაზრდების მხარდაჭერისა და თანადგომის, მათი ინტერესების დაცვის მიზნით, უკვე მერამდენე წელიწადია ხორციელდება საპრეზიდენტო პროგრამა ,,პატრიოტი", რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდების აღზრდას ემსახურება. ამ პროგრამით წელს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 24 ახალგზრდა გაემგზავრა ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში და წარმატებულებიც დაგვიბრუნდნენ.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით ჩატარებულ მოდის კვირეულში, რომლის მთავარი მიზანიც იყო საქართველოს რეგიონებში მომუშავე ნიჭიერი კადრების მოძიება და პოპულარიზება საერთაშორისო მაშტაბით. ხობელი დიზაინერი თეა ტყებუჩავა წარმატებულად წარსდგა უკრაინის, ესტონეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნის დიზაინერებთან ერთად საზოგადოების წინაშე.

ახალგაზრდულ საქმეთა წარმომადგენლობისათვის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პრობლემები, სწორედ ამიტომ მრავალშვილიან ოჯახებსა და დედ-მამით ობოლ ახალგაზრდებს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და თანადგომის ნიშნად საახალწლოდ გადაეცათ საჩუქრები – სულ 90 ოჯახს.

…2011 წლისთვის ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებისთვის გაიხარჯა- 32000 ლარი, წლის მანძილზე ჩატარდა მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიებები, რომლებმაც მაყურებლებსა და გულშემატკივრებში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მინი-ფეხბურთში ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტების სახელობის ტურნირები, (გოგა ბერაიას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ლევან ტურავას, ზვიად დათუაშვილის, გოგიტა ქარჩავას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, რამაზ კიტიას), რომელიც ემსახურებოდა მათი სახელის უკვდავყოფას და შეჯიბრების მონაწილეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას.

ასევე, განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მინი ფეხბურთში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, მხიარულ სტარტებში. გამოჩდნენ ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც იმედია მალე ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში, სადაც სოფლებისა და ქალაქის 21 გუნდი იღებდა მონაწილეობას. შეჯიბრების სლოგანი იყო ჯანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის ჩემპიონობა მოიპოვა სოფელ ხამისკურის ფეხბურთელთა გუნდმა. სოფელ ქვემო ქვალონის სტორტულ დარბაზში ტურნირი გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ეროვნული ტრადიციების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. შეჯიბრებაზე რესპუბლიკური, მსოფლიო და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები მონაწილეობდნენ.

ასევე ჩატარებულ იქნა სოფელ გურიფულში ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ცხენოსნობაში, 13 ცხენოსანი ერთმანეთს ეჯიბრებოდა ყაბახსა და მარულაში. მარულაში გამარჯვებული გახდა სლავა ნაჭყებია (ახალი ხიბულა), ხოლო ყაბახში ვახტანგ უსანატოვი (ნოჯიხევი), რომლებიც დაჯილდოვდნენ ველოსიპედებით და II, III ადგილის მფლობელები ფულადი ჯილდოთი. ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის მიხეილ იოსავას სახელობის ტურნირი ბილიარდში. 2011 წელს იყო წარმატებები რესპუბლიკურ, ევროპის, მსოფლიოსა და საერთაშორისო ტურნირებზე, სადაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ხობელი მანუჩარ ცხადაია გახდა მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი 66 კგ. წონით კატეგორიაში. მანვე 74 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც ქალაქ თბილისში ჩატარდა. ასევე, მანუჩარ ცხადაიამ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

მკლავჭიდში საქართველოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა გენადი კვიკვინიამ 110კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მკლავჭიდში 66 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გახდა ვილენ გაბრავა.

2011 წელს გვასახელეს ნორჩმა სპორტსმენებმა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებზე წარმატებები მოიპოვეს: გრიგოლ ახალაიამ (მძლეოსნობა), ლუკა შამუგიამ (ჭადრაკი), ნუგზარ წურწუმიამ (ბრ/ჭიდაობა), ნიკა ჯაკონიამ (კრივი) და გოგა კორტავამ (კარატე).

განათლების ცენტრი წარმოადგენს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო გაერთიანებას, რომლის სტრუქტურული ერთეულების-მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, სასპორტო, კომპიუტერული და სამუსიკო სკოლების საქმიანობა მიზანმიმართულად ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და წარმართვას.

ამ მხრივ 2011 წელი მართლაც განსაკუთრებული იყო. სასპორტო სკოლაში ახალი სახეობების-კრივის, რაგბის, ბილიარდისა და ძიუდოს დანერგვამ, რომლებსაც შესაბამისი ფედერაციების რეკომენდაციების საფუძველზე ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ, თავიდანვე მიიზიდა მოსწავლეთა დიდი რაოდენობა. წლის მადძილზე სასპორტო სკოლამ არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა. გვყავს ეროვნული ნაკრების წევრი ნორჩი მძლეოსანი, რესპუბლიკური პირველი ადგილის მფლობელები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კრივსა და ჭიდაობა ძიუდოში.

ასევე, კომპიუტერულ სკოლაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასწავლო პროგრამებთან ერთად შერწყმულმა ქსელური კომპიუტერული თამაშების სწავლებამ, მოსწავლეთა დიდი კონტიგენტი მოიზიდა და კომპიუტერული სკოლა მთელი ზაფხულის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობდა.

კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა ეს არის, არა მხოლოდ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, ჩვენი სულიერი ღირებულებების არაერთგზის გაცნობიერება, გარკვეული კულტურულ-იდეოლოგიური ორიენტირი ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. და გათავისებული პასუხისმგებლობა იმისა, რომ კულტურა და სპორტი ის დარგებია, რომლითაც ქართველ ერს შესაძლებლობა ეძლევა გლობალურ ცივილიზებულ სივრცეში სხვა მრავალთა შორის დადოს საკუთარი უმდიდრესი და უძველესი გენეალოგიური კოდი. თქვას მთავარი სიტყვა. ხელი შეუწყოს ზოგად ქართულ პროგრესს ცივილიზებული მსოფლიო თანამეგობრობისკენ.

2011 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შემთხვევებზე სამსახურმა განახორციელა 45 გასვლა. საპატრულო პოლიციის გამოძახებით ავტოსაგზაო შემთხვევაზე განხორციელდა 7 გასვლა, სამაშველო ღონისძიებაზე 7 გასვლა, ტექნოგენურ სიტუაციებზე - სტიქიური მოვლენებზე - 9 გასვლა, შ.ს.რაი სამმართველოს გამოძახებით 7 გასვლა, გამგეობის დავალებით 29 გასვლა, სხვადასხვა რაიონში დასახმარებლად 6 გასვლა. ფიქტიურ გამოძახებაზე 6 გასვლა.

ზემოთ აღნიშნულ ხანძრების შემთხვევებზე ადგილზე გასვლით შ.ს. მინისტრის 2006 წლის 5 სექტემბრის №1062 ბრძანების შესაბამისად, ხანძარსაწინაღმდეგო ზედამხედველობის სახემწიფო ინსპექტორების მიერ შეიქმნა (ხანძრის წაკიდების აღრიცხვის ბარათი) ორ ეგზემპლარად. შესაბამისი მასალები ყოველ ხანძარზე მოკვლევისთვის ოპერატიულად გაეგზავნა ქალაქ. ხობის შინაგან საქმეთა რაი სამმართველოს. ბრძანების შესაბამისად საქართველოს შ.ს. სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხანძარსაწინაღმდეგო სამმართველოს ყოველ ხანძარზე გაეგზავნა ; ხანძრის აღრიცხვის ბარათი" ყოველ (თვეში) და კვარტალში) მომხდარი ხანძრების ნაკრები ცხრილი, მომხდარი შემთხვევების კრებსი, მომხდარი ხანძრებისა და შედეგების შესახებ ანგარიში

>>>>>>>>>>> 8

7<<<<<<<<<<

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

/მზარდი/ დანართი 7 (ფ-29) სექტემბრის თვეში ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევების და შემოწმებების სამართალდარღვევათა წარმოებული საქმეების (ანგარიში).

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად 2011 წლის იანვარ-აპრილში ჩატარდა 1994 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომლებსაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა მომუშავე (მოსწავლე) 1994 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები. (ფორმა №1) პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 1994 წელს დაბადებული ჭაბუკების საერთო რაოდენობამ მოწოდებული ფორმა №1-ის მიხედვით შეადგინა 210 ჭაბუკი. შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილიქნა 1994 წელს დაბადებული ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია, (ფორმა №2). ასევე თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციის მოთავსებით. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულებისაგან გამოთხოვილიქნა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, სკოლებიდან კი აღრიცხვაზე ასაყვანი ჭაბუკების დახასიათება, ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი. პარალელურად შეიქმნა 1994 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ალფავიტური წიგნი და მიწერის კომისიის სხდომათა საოქმო წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

1994 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 200 ჭაბუკი, მათ შორის; აფხაზეთიდან დევნილი 15 ჭაბუკი.

სამხედრო აღრიცვაზე აყვანილია 1984-92 წლებში დაბადებული 23 წვევამდელი, რომლებიც წლების განმავლობაში არ იყვნენ გამოცხადებული გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში.

2011 წელს საგაზაფხულო-საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, გამოცხადდა 765 წვევამდელი.

ხობის მუნიციპალიტეტიდან 2011 წლის გაწვევის პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულია 186 წვევამდელი, მათ შორის; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 116 წვევამდელი. სასჯელაღსრულების და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურში–29 წვევამდელი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფებში–6 წვევამდელი. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხულია 1 წვევამდელი. ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვეულია კი 3. გეგმის გარეშე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოში გაწვეულია 31 წვევამდელი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო ჩაირიცხა მეორე თანრიგის რეზერვში 104 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 155 წვევამდელს, მათ შორის: 24 დედისერთას, 85 სკოლის მოსწავლეს, 36 ერთ და ორ შვილიანს და 43 სტუდენტს. ასევე განხორციელდა 27-დან 40 წლამდე ასაკის მოქალაქეთა რეზერვში გაწვევა, მუნიციპალიტეტიდან გაწვეულია 156 რეზერვისტი. გაწვევა განხორციელდა 2 ეტაპად, პირველი ეტაპი განხორციელდა თებერვლის თვეში, გეგმით გათვალისწინებული 40 რეზერვისტის ნაცვლად გაწვეულია 56 რეზერვისტი. მეორე ეტაპზე მარტის თვეში კი 80–ის ნაცვლად 100.

ამ დროისათვის მიმდინარეობს 1995 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის წინა მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც გაგრძელდება აპრილის თვემდე, პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანთა რაოდენობა შეადგენს 253 ჭაბუკს. გაწვევის და მობილიზაციის სამსახური მზადაა დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული მითითებები და დირექტივები.

გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერიტორიული ორგანოების მუშაობას, ვფიქრობთ, ამ კუთხით ბევრია სამუშაო. თითოეული მოსახლე უნდა გრძნობდეს რწმუნებულის აპარატის აქტიურ დამოკიდებულებას სოფლის განვითარებასა და უკეთესი ხვალინდელი დღისათვის.

2012 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის იქნება ეკონომიკური აღმშენებლობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების წელი. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი იქნება, რომლის ფარგლებშიც წინ უნდა წამოიწიოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და წყალმომარაგების სექტორის რეაბილიტაცია-განვითარების საკითხმა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებმა, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის, რაც ყველაზე მთავარია, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებამ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნამ და დასაქმების პრობლემის რეგულირებამ. ამასთან ამოქმედდება აგრარული სექტორი, რამეთუ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების სახით დიდი რესურსი არსებობს, რაც სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ძლიერი დარგის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. თითოეულ ოჯახს უნდა შევუქმნათ საიმისო პირობები, რომ ღირსეულად იცხოვრონ. ვიზრუნებთ, რათა გავზარდოთ თვითმმართველობის ეფექტიანობა, გამჭირვალობა, ანგარიშგება, მომსახურების მიწოდება და სამოქალაქო მონაწილეობა დემოკრატიულ და თვითმმართველობით პროცესებში.

## ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

### ბეჟან ნადარაია – ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი



ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქრთველოს სამოქალაქო კოდექსის „კულტურის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ“. საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და წესდების შესაბამისად.

კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში შედის თვით კულტურის ცენტრი, 1 რაიონული კულტურის სახლი, 1 საჯარო ბიბლიოთეკა, 2 სასოფლო კულტურის სახლი, 3 მუზეუმი (მხარეთმცოდნეობის, ალ. მირცხულავას, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“), 7 სასოფლო კლუბი, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა, სახელოვნებო დარგი. სულ 82 საშტატო ერთეულით.

კულტურის ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსახლეობის კულტურული დონისა და ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა კულტურული და შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თვითშემოქმედების განვითარებას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის შენარჩუნება-გამოვლენის და მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზაციას.

კულტურის ცენტრის 2011 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 426 730 ლარს, სპეცსახსრების წლიური გეგმა – 22 500 ლარს.

კულტურის ცენტრმა 2011 წელს ჩაატარა სახვადასხვა ღონისძიებები:

– „საახალწლო იკებანა“.

– 8 მარტი – დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კაფე–საღამო.

– 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

– 3 მაისი – ფოლკლორის საათი „ჩემი კუთხის საგანძური“.

– 9 მაისი – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 66-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა ომის ვეტერანებთან.

– 18 მაისი – საესტრადო ჟანრის კონცერტი.

– 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

– 23 ივნისი – ფესტივალ არტ-გენში მონაწილეობა (ქ. ფოთი), 17 ივლისი – ფესტივალ არტ-გენში მონაწილეობა (ქ. თბილისი).

– 8 აგვისტოს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

–12 აგვისტო – ცოტნეობა.

–7 აგვისტო – ფესტივალ „კოლხობა 2011"–ში მონაწილეობა (სარფი).

–22 აგვისტოს–ქ. ანაკლიის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა.

– 3 სექტემბერი – შავღელეს სოფლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება.

– 16 სექტემბერი – V საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ფესტივალის გახსნა.

–17 სექტემბერი – საფესტივალოდ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.

ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.

კულტურის ცენტრის სპეციალისტები მეთოდურ დახმარებას და კონსულტაციას უწევენ ყველა დაწესებულებებს. დავესწარით საანგარიშო კონცერტებს. ყოველი თვის ბოლოს ტარდება რაიონული თათბირი, სადაც განიხილება ყველა საჭირბოროტო საკითხი.

საჯარო ბიბლიოთეკაში 2011 წლის მდგომარეობით 45824 ცალი სხვადასხვა ღირებულების წიგნია. გამოწერილია 10 სხვადასხვა დასახელბის ჟურნალ–გაზეთი.

ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მკითხველთა კონფერენცია: „წიგნი და თანამედროვეობა“, პოეზიის საღამო „პოეზია მუსიკაა სულისა” და სხვა.

კულტურის ცენტრთან არსებულმა ბიჭუნათა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. მათ მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატის წოდება და მიიღეს I ხარისხის დიპლომები.

ასევე წარმატებულად ფუნქციონირებს სხავასხვა წრეები, ანსამბლები და სტუდიები.

კულტურის ცენტრი ცდილობს, საინტერესოდ და შინაარსიანად წარმართოს მისი საქმიანობა, რათა ზაფხულის პერიოდში მოსახლეობას აქტიური დასვენებისა და გართობის საშუალება მიეცეს.

## შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ 2011 წლის მუშაობის ანგარიში

### მერი ლაგვილავა–შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვიდრე ოფიციალურ ინფორმაციას მოგაწვდიდეთ, გულწრფელი მადლობა ვუთხრა თითოეულ ადამიანს, ვინც გამოიწერა გაზეთი „ხობის მოამბე“, ამით გვიერთგულა და გამოხატა თანადგომა ჩვენი გაზეთის მიმართ. გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელებისა და საინფორმაციო სამსახურების მისამართით.

შპს „ხობის მოამბე“ 2007 წლის მაისიდან დააფუძნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ. დებულების შესაბამისად, „საზოგადოების“ ძირითად საქმიანობას მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ „ხობის მოამბეს“ გამოშვება და შესაძლებლობის ფარგლებში საგამომცემლო საქმიანობის გაფართოება წარმოადგენს (რასაც ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ).

2011 წელს შპს. „ხობის მოამბემ“ გამოსცა გაზეთ „ხობის მოამბეს“ 27 ნომერი, სულ გვერდების რაოდენობაა 340. ტირაჟი განისაზღვრა 600 ცალით. საცალოდ ჯიხურში გაიყიდა სულ 80 ცალი, რაც შემოსავალშია დაფიქსირებული, ხოლო ხელმომწერებზე ნაწილდებოდა 9800 ცალი. ოფიციალურად უფასოდ დარიგდა (ბრძანების საფუძველზე) 385 გაზეთი.

შპს–ში მომუშავეთა რაოდენობა შტატით შეადგენს 7 ერთეულს, ხოლო ხელშეკრულებით დასაქმებულია 2 პიროვნება–მარკეტინგისა და რეკლამის მენეჯერი და დამლაგებელ-კურიერი. არ გვყავს იურისტი.

2011 წელს შპს. „ხობის მოამბე“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო 53 000 ლარით. აქედან გაზეთიდან შემოსავალი იყო 12 600 ლარი, ფაქტიურად გაზეთიდან შემოსავალმა შეადგინა 6 254 ლარი, განცხადებებიდან მიღებულმა თანხამ კი 730 ლარი. ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული იყო 53 600 ლარის ხარჯი, ფაქტიურად კი გაიხარჯა 46 957 ლარი.

მინდა გითხრათ, რომ ალბათ შ.პ.ს. „ხობის მოამბე“ ერთადერთია მუნიციპალიტეტში, რომელიც არ დაფინანსებულა მე–13 ხელფასით.

წელს სუბსიდია არის 35 000 ლარი, მთლიანად ბიუჯეტი კი 45 500 ლარი. ბიუჯეტის შემცირებამ გამოიწვია ხელფასების შემცირებაც. წელს გამარტივებული ტენდერით 2000 ლარამდე ეკონომიას ველოდებით. რაკი ჩვენი სამსახური, თამამად ვიტყვი, გამჭირვალეა და გაზეთი ხელმისაწვდომია მკითხველისათვის, ზოგჯერ უბრალო კორექტურაც კი არ რჩება ყურადღების მიღმა. მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ ამისთვისაც, თუმცა, სატელეფონო ზარამდე ჩვენც ადვილად ვხედავთ იმ შეცდომებს. ამით რა თქმა უნდა, არ ვიხსნით ჩვენს წილ პასუხისმგებლობას. უდიდესი სურვილი გვაქვს, ურთიერთთანამშრომლობით თითოეული თქვენთაგანის თანადგომით, ერთიანი ძალისხმევით მკითხველს უკეთესი გაზეთი მივაწოდოთ.

გმადლობთ. სულ ეს იყო, რაც უნდა მეთქვა.

2011 წლის ხარჯები მუხლობრივად თანდართულ ცხრილში ასე გამოისახება.

>>>>>>>>>>>> 9

8<<<<<<<<< მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

## ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

შორენა საბახტარაშვილი – ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

სახელმწიფო ჯანდაცვა არის სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობის გზით. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით სახელმწიფო საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების შესრულებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის არაერთმნიშვნელოვანი სერიოზული კომპონენტების მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე თავისი შრომითი რესურსებით (საადრო პოტენციალი), რომლებიც აუცილებელია კანონით განსაზღვრული კომპეტენციის და ვალდებულებების ფარგლებში, სპეციფიკური საზოგადოებრივი ჯანდაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა მტკიცდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიზნობრივად გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2011 წლის პროგრამა შედგება ერთი ნაწილისაგან.

1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დელეგირებული (ტრანსფერი) უფლებამოსილების შესრულება:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მუხლი 36-ის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში“ შესაბამისად დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები:

1. საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება.

3, საგანმანათლებლო აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

5. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის.

6. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას.

7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

2011 წლის სამუშაო წელი ჩვენი ორგანიზაციისათვის შრომატევადი,საინტერესო და წარმატებული იყო. დაინერგა „დზეის“ სისტემა. „დზეის“ არის დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა, რომელიც აძლიერებს და ხელს უწყობს ადამიანისა და ცხოველის დაავადებების მონიტორინგსა და პრევენციას, მართავს დაავადების შემთხვევას, შემთხვევას პლუს დაავადებებისათვის შესაფერის კვლევას და აგრერირებულ მონაცემებს, აერთიანებს მონაცემებს ლაბორატორიული ნიმუშების, ტესტების და შედეგების შესახებ.



„დზეის“ პრინციპით მუშაობისათვის ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული გვაქვს კომპიუტერული ტექნიკა, რომლითაც ყველა სამუშაო ელექტრონული ვერსიით მიმდინარეობს.

ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია, უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით, საოფისე ავეჯით. ჩვენს ბალანსზე ირიცხება ერთი ავტომანქანა. გვაქვს 3 ერთეული კომპიუტერი. საბუღალტრო-საფინანსო საქმიანობა მიმდინარეობს მთლიანად ელექტრონული ვერსიით. ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები და საქმიანობის შესახებ ფლობენ შესაბამის ლიცენზიებს.

ჯანდაცვის ცენტრი ატარებს ყოველთვიურ მონიტორინგს ჯანდაცვის პირველად რგოლებზე პროფილაქტიკური აცრების კალენდრით განსაზღვრული ჩატარებულ იმუნიზაციის ხარისხზე და მოცულობაზე. ყოველი თვის ბოლოს კეთდება ჯანდაცვის პირველადი რგოლებიდან შემოსული შეტყობინებისა და მონაცემების ანალიზი და ვაქცინაციის მოცვის შეფასება. ცენტრი უზრუნველყოფილია ყველა სახის ასაცრელი მასალების 3 თვის მარაგით. ასაცრელი მასალის შემოტანას და გადანაწილებას ჯანდაცვის პირველად რგოლებზე ცენტრის ლოჯისტიკის ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებს. ჯანდაცვის ცენტრი და ჯანდაცვის პირველადი რგოლები უზრუნველყოფილია სპეციალური მაცივრებით, ცივი ყუთებით, სადაც შესაბამის ტემპერატურაზე ინახება ასაცრელი მასალები.

2011 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მაშტაბით ტუბერკულოზის წინააღმდეგ კომბინირებული ვაქცინით აცრილია 77 ბავშვი, რომელშიც შედის ისეთი საშიში დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინა, როგორიცაა დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა, ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცა, აცრილია 375 ბავშვი, მოცვამ შეადგინა 95%,წითელა - წითურა-ყბა-ყურას ვაქცინით 669 ბავშვი, პოლიომიელიტის ვაქცინით–2087 ბავშვი, მოცვამ შეადგინა 98%, ტეტანუს-დიფტერიის ვაქცინით– 695 ბავშვი, მოცვა 97%.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2010 წელს ტაჯიკეთში და ინდოეთში ადგილი ჰქონდა ველური პოლიომიელიტის I ტიპის ვირუსით 15 წლამდე მოზარდთა დაავადების შემთხვევებს. ამ ტერიტორიებიდან ტრანზიტორული მატარებლების და ინკუბაციურ პერიოდში მყოფი პირების ჩამოსვლის რისკი ჩვენს ქვეყანაშიც არსებობდა, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მითითებით 2011 წლის მაის-ივნისის თვეში ჩვენს მიერ ორგანიზებულ იქნა პოლიომიელიტზე აუცრელი და ვაქცინაცია დაუმთავრებელი 15 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის სიობრივი აღრიცხვა და მათი ვაქცინაცია (გაწმენდის ოპერაციის ჩასატარებლად). აღნიშნულის და გეგმიური აცრების ჩატარების შედეგად პოლიომიელიტზე ბავშვთა აცრის მოცვის მაჩვენებელი ჩვენს რაიონში შეადგენს 98%, რაც საკმაოდ მაღალია და დამაიმედებელი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის, როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაიას ფონდის მონაწილეობით დაიგეგმა პროექტი „რისკის ქვეშ მყოფი სამედიცინო პერსონალის იმუნიზაცია ჰეპატიტ „ბ“-ს წინააღმდეგ.“ ამ პროექტის ფარგლებში ხობის რაიონულ საავადმყოფოში შეირჩა ჰეპატიტ „ბ“-ით ინფიცირების რისკის ქვეშ მყოფი ყველა დონის სამედიცინო პერსონალი, ვისაც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას კონტაქტი აქვს სისხლისა და სხვა ინფიცირებულ ბიოლოგიურ სითხეებთან. ასეთი შეირჩა 25 მედიცინის მუშაკი, რომელთაც ჩაუტარდა ჰეპატიტ „ბ“-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია და მოხდა მათი დაცვა ისეთი მძიმე დაავადებებისაგან, როგორიცაა ღვიძლის ციროზი, რომელსაც იწვევს ხშირ შემთხვევაში „ბ“-ს ჰეპატიტის ვირუსი.

საანგარიშო პერიოდში 2011 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია ზემო სასუნთქი გზების ინფექციები 1721, გრიპი–286, გრიპის მსგავსი დაავადების ჰოსპიტალიზაციის 296 შემთხვევა. სავარაუდო ინფექციური დიარეა–84. ჯილეხი– 6. ჩუტყვავილას 12 შემთხვევა, ქრ. ჰეპატიტის 21 შემთხვევა. წლის განმავლობაში შხამიანი ქვეწარმავლის მიერ დაკბენილი 5 შემთხვევა დაფიქსირდა.

2011 წლის აგვისტოს თვეში სოფელ -ქვემო ქვალონში ადგილი ჰქონდა ჯილეხით 6 ადამიანის დაავადების შემთხვევას, რაც გამოწვეული იყო ამ სოფლის მცხოვრებლების მიერ დაავადებული პირუტყვის ხორცის საკვებად და სარეალიზაციოდ გამოყენება, რაც სამწუხაროდ, ხდებოდა ამ სოფელში. ჯილეხის შემთხვევების გამოვლენისთანავე ჩვენს მიერ კერებში ტარდებოდა ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები. მობილიზებული იყო სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის რეგიონალური და ადგილობრივი სამსახურები, ქვემო ქვალონის ჯანდაცვის პირველადი რგოლი. ჩვენს მიერ სისტემატიურად იყო ინფორმირებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა. უკანასკნელ პერიოდში ჯილეხის თითო შემთხვევა იყო რეგისტრირებული 2007 და 2010 წლებში სოფელ ქვემო ქვალონში.

2011 წელს სოფელ ზემო ქვალონში ადგილი ჰქონდა ბრუცელოზით 1 ადამიანის დაავადების შემთხვევას. კერაში ჩვენს მიერ ჩატარებულ იყო ეპიდკვლევა. მოქალაქეს დროულად ჩაუტარდა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა, ხოლო მუნიციპალიტეტის ვეტსამსახურის მიერ კერაში ჩატარდა სათანადო ღონისძიებები.

2011 წლის დეკემბრის თვეში ადგილი ჰქონდა სოფელ ნოჯიხევის მცხოვრების 16 წლის დავით აბესაძის ბოტულიზმით დაავადების შემთხვევას, რომელიც გამოწვეული იყო მის მიერ საკუთარ ოჯახში ბადრიჯნის კონსერვის საკვებად მიღების შედეგად. კერაში ჩატარდა ეპიდკვლევა, რეკომენდაცია მიეცა ოჯახს ბადრიჯნის კონსერვის ზემოთხსენებული პარტიის მთლიანად განადგურების შესახებ. ასევე ჩაუტარდა ოჯახის წევრებს საუბარი სხვა სახის დაკონსერვებული პროდუქტები საკვებად მიიღონ მხოლოდ სათანადო წესების დაცვით თერმულად დამუშავების შემდეგ. პაციენტი დროულად იქნა ჰოსპიტალიზებული 2011 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში, საიდანაც გამოწერილი იქნა 2011 წლის 30 დეკემბერს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა საჭიროებს შემდგომ დისპანსერულ სამედიცინო მეთვალყურეობას, თუ შევადარებთ ერთმანეთს 2011 წლის წინა წლების ინფექციურ დაავადებების დინამიკას, მნიშვნელოვან მატებას ან კლებას ადგილი არა აქვს გარდა იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ჯილეხით, ბრუცელოზით და ბოტულიზმით დაავადების შემთხვევებს.

მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ცენტრის ექიმი- პროფილაქტიკის მიერ ჩატარებულ იქნა სანიტარულ- ჰიგიენური ნორმის დაცვის შესახებ მონიტორინგი, 2011 წლის პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა 41 ობიექტზე, მათ შორის არის 15 საჯარო სკოლა, 23 სკოლამდელი და 3 საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება. გამოვლენილი სანიტარული-ჰიგიენური ნორმების აღმოფხვრის შესახებ რჩევები და რეკომენდაციები მიეცა დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ზემოთ ხსენებულ დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების, ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ტარდება საუბრები ალკოჰოლისა და თამბაქოს მავნეობის, პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ასევე პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობას და აუცილებლობას, შიდსის, ა. ბ. და „ც“ ჰეპატიტების, გრიპის, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ჯილეხის, ცოფის, დიფტერიის, ტეტანუსის, ბოტულიზმის, პროფილაქტიკის შესახებ. მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხობის მოამბეში“ 2011 წელს გამოქვეყნებული იყო სტატიები მალარიის, ჯილეხის, ეშერიოხიოზის, ცოფის, სეზონური გრიპის პროფილაქტიკის შესახებ. ცენტრის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე სისტემატიურად ქვეყნდებოდა ინფორმაციები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

რაიონულ საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირებს ანტირაბიული კაბინეტი.

ანტირაბიული ვაქცინა შემოაქვს რაისაავადმყოფოს საზოგადოებრივ ჯანდაცვას.

ცენტრი პროგრამის შიგნით ანხორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის საფუძველზე და ახდენს შესაბამისი სამსახურების დროულ ინფორმირებას, ტარდება ანტირაბიული კაბინეტის პერსონალის ინსტრუქტაჟი, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის, სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვის მონიტორინგი ვაწარმოებთ ცოფზე საეჭვო ცხოველების მიერ ადამიანების დაკბენის, დაკაწვრის დადორბლის თითოეული შემთხვევის შესწავლას. 2011წელს ადგილი ჰქონდა 228 ასეთ შემთხვევას, მათ შორის მღრნელების მიერ დაკბენილი იყო 18 პირი, ძაღლის მიერ 178, კატის მიერ 28, კურდღლის მიერ 2. კონტაქტი ჰქონდა პირს ცოფზე საეჭვო ძროხასთან. მკურნალობისპირობითი კურსი ჩაუტარდა 164 მოქალაქეს, სრული კურსი 64 მოქალაქეს. თითოეული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის წერილობითი ურთიერთგაცვლა ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ვეტტსამსახურთან.

ცენტრის პარაზიტოლოგიურ

>>>>>>>>>> 10

9<<<<<<<<<



განყოფილების მიერ ხდება პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, კერებში და კერის გარშემო წარმოებს სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა, დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების მიწოდება, პარაზიტოლოგიური ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ჰელმინთური დაავადებების გამოსავლენად 227 ანალიზი, მათ შორის 102 პირი დაავადებული იყო ენტერობიოზით, 21 პირი, ასკარიდათი, 1 პირი ტრიქოცეფალუზით, მათ შორის ასაკის მიხედვით 1 წლამდე 9,1 დან-4 წლამდე 95, 5-დან-14 წლამდე 98,15 დან 19წლამდე 10, 20დან 29 წლამდე 5, 30 დან 59 წლამდე 5, 60 და მეტი ხნის 5.

პარაზიტოლოგიური ლაბორატორია აღჭურვილია ელექტრონული მიკროსკოპით, რომელიც გადმოგვეცა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან ცენტრალიზებული წესით.

ცენტრის პარაზიტოლოგიურ განყოფილებაში ჰელმინთური დაავადებების გამოკვლევა და მკურნალობა არის უფასო. ცენტრს გააჩნია ჰელმინთოზების საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატი.

ცენტრის ენტომოლოგიური განყოფილების მიერ წარმოებს გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა- დადგენა, წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილია წესით. გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში, ტარდება წყალსატევებში გამბუზიისგავრცელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.

2011 წლის 1 აპრილიდან 1 ნოემბრამდე, აყვანილი იყო სეზონური ბონიფიკატორები ხელშეკრულებით ჭალადიდში, ქ. ხობში და პირველ მაისში. ქ. ხობის ბონიფიკატორი საბონიფიკაციო სამუშაოებს ატარებდა ქ.ხობში და მიმდებარე სოფლებში: პირველი გურიფული, ახალი სოფელი, შუა ქვალონი. ჩატარებული იყო წყალსატევების აღრიცხვა და პასპორტიზაცია სულ 750 ჰექტარზე. გაწმენდილი იქნა წყალსატევები წყალმცენარეებისგან და ლამისაგან მიმდინარეობდა გამბუზიის გადაყვანა, დაავადებათა კონტროლიდან უსასყიდლოდ შემოტანილი იყო ინსექტიციდი სოლფაკი, რომელიც გახარჯული იყო სოფლებში: ჭალადიდი, ყულევი, პირველი მაისი, შუა ხორგა, ასევე ქ. ხობში კოღოების გავრცელებისას საწინააღმდეგოდ. დამუშავებული იქნა ცხოველთა სადგომები სულ 341, 4013,8 კვ.მ. ფართზე, აღნიშნულზე გახარჯული იქნა 9 კგ სოლფატი, ცენტრის მიერ შეძენილი ინსექტიციდებით 500 გრამი. „მასაით“ და 280 გრამი „დეციზპროფით“ დამუშავებული იქნა ქ. ხობში საცხოვრებელი ბინების სარდაფები სეზონის განმავლობაში 3 ჯერადად, სულ 35.910. კვ.მეტრი .ფართობი.

ჩვენი სამსახურის მოქმედების არეალი ჩასატარებელი სამუშაოებები მრავალმხრივია.

მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, ჯანდაცვის ცენტრს ნორმალური ფუნქციონერებისათვის ყველა საშუალება გააჩნია.

# ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის 2011 წლის მუშაობის ანგარიში

ხათუნა ხორავა–ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორი

საგანმანათლებლო რეფორმა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი წარმატებული რეფორმაა, რომელმაც მიზანმიმართულად ეფექტური, გამჭვირვალე და ხარისხიანი გახადა ცოდნის მიღების შესაძლებლობა.

საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო რეფორმის შედეგები მნიშვნელოვანწილად აისახება სკოლისგარეშე საგანმანათლებლო ცენტრების საქმიანობაზეც. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი ცენტრი გახლავთ. მით უფრო, რომ განათლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულები



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სასპორტო, სამუსიკო და კომპიუტერული სკოლები ემსახურებიან მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და წარმართვას.

ამ მხრივ 2011 წელი მართლაც განსაკუთრებული იყო. ამ წელს სასპორტო სკოლაში დაინერგა ახალი სახეობები–კრივის, რაგბის, ბილიარდისა და ძიუდოს, რომლებსაც შესაბამისი ფედერაციების რეკომენდაციების საფუძველზე ლიცენზირებული მწვრთნელ- მასწავლებლები ხელმძღვანელობენ.

აქვე მოგახსენებთ მხოლოდ იმ შედეგების შესახებ, რომლებმაც განათლების ცენტრს სასპორტო სკოლის სახით რეგიონალური თუ საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებული შედეგები მოუტანეს.

13-15 მაისს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის ნორჩმა მოჭიდავემ ნ. წურწუმიამ, რომელიც მონაწილეობდა ნ. ხვედელიძის სახელობის ტურნირში, პირველი ადგილი დაიკავა. ნ. წურწუმია საუკეთესო იყო 11-13 ნოემბერს ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც, სადაც ზედიზედ ოთხი მოგებით დაიკავა პირველი ადგილი.

რეგიონალურ ტურნირზე ქ. ზუგდიდში 29 მარტს ქართულ ჭიდაობაში საუკეთესო იყო ჩვენი სასპორტო სკოლის აღსაზრდელი ა. კვირკველია (65 კგ წონით კატეგორიაში), რომელსაც ამ ტურნირის პირველმა ადგილმა საშუალება მისცა წარმატებით ესპარეზა რესპუბლიკურ ტურნირზე ქ. თბილისში. ა. კვირკველიამ პირველი ადგილი დაიკავა 30 ოქტომბერს ქ. ფოთში რესპუბლიკურ ტურნირზე ჭიდაობა სამბოში და პირველი ხარისხის მედალი და დიპლომი მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ კრივი ახალი სახეობაა, სასპორტო სკოლაში პირველი წარმატებები უკვე გამოჩნდა. 32 კგ წონით კატეგორიაში ნ. ჯაკონიამ, ჯაოშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე საუკეთესო შედეგი აჩვენა.

2011 წელი, როგორც ყოველთვის, წარმატებული გახლდათ ჭადრაკის წრისათვის. წლის მანძილზე ნორჩი მოჭადრაკეების შედეგები ასეთი იყო:

3-6 თებერვალი-ქ. ფოთი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პირველობა 16 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის ერთი პირველი ადგილი: მ. ჭაჭია.

12-15 თებერვალი, ქ. ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პირველობა 10 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის ერთი პირველი ადგილი: გ. ლატარია.

16-25 მარტი-ქ. ქუთაისი, საქართველოს ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგის ორი საგზური: ა. შონია და გ. ლატარია.

23-30 დეკემბერი ქ. თბილისი, სართაშორისო ტურნირი თ. ლომაიას მემორიალი, სადაც 6 და 8 წლიან გოგონათა შორის საუკეთესო იყო ნორჩი მოჭადრაკე დ. ლომაია, რომელმაც ორ ასაკობრივ ჯგუფში მოიპოვა პირველი ადგილი.

სასპორტო სკოლის ფეხბურთის ჯგუფები მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ტურნირებში. 1995-96 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი რ. ქაშიბაძე) ტურნირის პირველი ადგილის მფლობელია.

1991-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი „იმედი“ (მწვრთნელი ზ. ლატარია) მონაწილეობდა რეგიონის ტურნირში „ოთხთა თასი“, რომელიც მიეძღვნა ვეტერან ფეხბურთელთა ხსოვნას და დაეუფლნენ გ. მელიასა და გ. ოდიშარიას ხსოვნის თასებს.

საუკეთესო შედეგებით დაამთავრა სეზონი 2000-2001 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ლ. ნოდია), რომელიც მონაწილეობდა გურიის რეგიონის ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირში და ფაქტიურად მთელი სეზონის მანძილზე დაუმარცხებლად იასპარეზა და ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი.

გასულ წელს ნაყოფიერად იმუშავა ბილიარდის ჯგუფმაც. ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებით. ჩატარდა შიდასასკოლო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული რეზერვისტის მ. იოსავას სახელობის ტურნირი, რომლის მონაწილენი და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

ხობში რაგბის (ქართული ლელოს) ჯგუფი სულ ერთი წელია ფუნქციონირებს. საწვრთნელი მეცადინეობები ინტენსიურად ტარდება, ნორჩი მორაგბეები მონაწილეობდნენ ზონალურ შეჯიბრებებში. გამოვლინდა რამდენიმე პერსპექტიული მორაგბე, რომლები პარალელურად სენაკის „ჯიხაში“ პირველი ლიგის თამაშებში იასპარეზებენ.

სასპორტო სკოლის ჯგუფებიდან კრივისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფები სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს ატარებენ საჯიჯაოს კულტურის სახლში, სადაც ჩატარდა სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი სარემონტო სამუშაოები და ახალ სასწავლო წელს ეს სახეობები ახალ დარბაზსა და ახალი ინვენტარით შეხვდა.

ყველა სპორტღონისძიება–ჯგუფების მივლინებები ტურნირებზე, ფედერაციებისათვის საწევრო და სასტარტო შენატანები დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ფინანსდებოდა და მთელი წლის მანძილზე ამ ხარჯმა შეადგინა 21705.67 ლ. გარდა ამისა, სხვადასხვა სახეობისათვის შეძენილიქნა სპორტული ინვენტარი, რაზედაც ბიუჯეტის სახსრებიდან დაიხარჯა 8930 ლ;

სამუსიკო სკოლისთვის გასული წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ დაინერგა საესტრადო სიმღერების ჯგუფი, რომელმაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. სამუსიკო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ 26 მაისისადმი მიძღვნილ საზეიმო კლასიკური მუსიკის კონცერტში. ნორჩი პიანისტები კი გამოვიდნენ რეგიონალურ კონკურსზე ანაკლიაში. სკოლაში ჩატარდა თეორიული სწავლების ჯგუფის ვიქტორინა. საინტერესო კლასიკური მუსიკალური კომპოზიციებით აღინიშნა დედის დღე და გიორგობის დღესასწაული, საახალწლო საშობაო დღეები. სამუსიკო სკოლამ საახალწლოდ მიუზიკლი „ჯადოსნური ნემსი“ წარუდგინა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ტრადიციულად და სასწავლო გეგმით, წლის ბოლოს ტარდება წლის გამოსაშვები კონცერტი, გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა. 2011 წელს 20 მოსწავლემ დაამთავრა სამუსიკო სკოლის სრული კურსი, მათზე გაიცა შესაბამისი მოწმობები.

სამუსიკო სკოლაში მშობელთა შენატანი წლის მანძილზე ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 15120 ლარი. შენატანი გათვლილი იყო 84 მოსწავლეზე. წლიურმა შესრულებამ შეადგინა 15192 ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გეგმიური წრეობრივი მუშაობა მიმდინარეობდა. მოეწყო ნორჩ მხატვართა და ფოტოგრაფთა პერსონალური გამოფენები, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან აქტიური თანამშრომლობით შედგა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, იმუშავა 9 სექციამ, რომლის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ქ. თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სპეციალური სიგელებითა და დიპლომებით.

საახალწლო-საშობაო დღეებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა რამოდენიმე ღონისძიება ჩაატარა. შთამბეჭდავი იყო ნორჩ დიზაინერთა ნამუშევრების ჩვენება, ლიტერატურული კომპოზიცია „ტყის ზღაპარი“ და საახალწლო კარნავალი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გარემონტდა სამეცადინო ოთახი, შეკეთდა სახურავი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შეძენილია სასწავლო და საოფისე ავეჯი, სასცენო ტექნიკური აპარატურა, სულ 12546 ლარის ღირებულებით.

კომპიუტერულ სკოლაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასწავლო პროგრამებთან ერთად შერწყმულმა ქსელური კომპიუტერული თამაშების სწავლებამ და შეჯიბრების მოწყობამ ქსელურ თამაშებში მოსწავლეთა დიდი კონტიგენტი მოიზიდა და კომპიუტერული სკოლა მთელი ზაფხულის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობდა. დღეისათვის შეძენილია 7498 ლარის სასწავლო ინვენტარი და ავეჯი.

არ შეგვიძლია მადლიერების გრძნობა არ გამოვხატოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიმართ, რომლებმაც ერთსულოვნად დაგვიჭირეს მხარი ცენტრის თანამშრომელთა მიმართ გიორგობისა და ვარდების დღესთან დაკავშირებით ცენტრის ყველა თანამშრომელზე ერთჯერადი წამახალისებელი ფორმის ფულადი ჯილდოს გაცემაში.

2011 წელს განათლების ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 319947 ლარს. აქედან წლიურმა შესრულებამ შეადგინა 309389.45 ლარი. მათ შორის ხელფასი-226215,58 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-11389,20 ლარი, მივლინებამ–407.5 ლარი, ოფისის ხარჯი–5557.09 ლარი, კომუნალური ხარჯი–5828.61 ლარი, სამეურნეო ინვენტარი–20229 ლარი, ინვენტარი–215326 ლარი, სპორტღონისძიება–21705.67 ლარი, ღონისძიება–2480.80 ლარი. მშობელთა შენატანი გეგმით შეადგენდა წლის მანძილზე 15120 ლარს, წლიურმა შესრულებამ შეადგინა–15192 ლარი.

ახალი 2012 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და სიახლეების წლად გვესახება ცენტრის თითოეულ ობიექტზე. ვგრძნობთ რა, იმ კურსის პასუხისმგებლობას, რაც ქვეყნის ხელისუფლებას საგანმანათლებლო დარგებისადმი გააჩნია, ვიმედოვნებთ, ერთსულოვნებითა და მონდომებით, შევძლებთ ღირსეულად წარვმართოთ ცენტრის მუშაობა.

>>>>>>>>>> 15

10<<<<<<<<

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

# ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ 2011 წლის მუშაობის ანგარიში

მანანა წულეისკირი–„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი

მოგახსენებთ, რომ 2011 წლის ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში ფუნქციონირებდა 29 სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაიგეგმა 965 აღსაზრდელზე. სააღმზრდელო გაერთიანების ბიუჯეტი 572 000 ლარს შეადგენდა, რაც 2010 წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირდა 587 670 ლარით, რამაც გამოიწვია კვებაზე გახარჯული დღიური ნორმის და საშტატო ერთეულის შემცირება. ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებისათვის სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები, ზამთრის სეზონისათვის შეშის თანხა. მშობელთა შენატანი გაიზარდა, 2011 წლის ბიუჯეტით ბავშვზე გათვლილი დღიური კვების თანხამ შეადგინა 1 ლარი რაც ნამდვილად ვერ აკმაყოფილებდა ბავშვის კვებისათვის აუცილებელ ნორმას.

2011 წლის 21 იანვარს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საკვებ პროდუქტებზე შესყიდვის მიზნით 126 690 ლარზე და პურ-ფუნთუშეულის შესყიდვის მიზნით 20 896 ლარზე (10 თვეზე გათვლილი). 25 იანვარს არცერთი ტენდერი არ შედგა, რაც გამოწვეული იყო იანვრის თვეში საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდით.

რადგან ერთი ლარი ორჯერადი კვებით ვერ აკმაყოფილებდა ბავშვთა ჯამრთელობის დაცვის მიზნით ნორმებისა და კალორაჟების მიღებას, 2011 წლის 26 იანვარს საკრებულომ პირველ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტში აღსაზრდელთა კვებისათვის აუცილებელი დღიური ხარჯი ერთ აღსაზრდელზე განსაზღვრულიყო 1.30 ლარის ოდენობთ. ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში კვებასთან დაკავშირებით შეფერხების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვა.

პირველ თებერვალს ერთ პირთან მოლაპარაკებით საკვებ პროდუქტებზე შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება დაიდო ი/მ ,,ლევან ვადაქარიასთან “ 15 779,68 ლარზე. ხოლო პურ- ფუნთუშის შესყიდვის მიზნით ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულება დაიდო შ.პ.ს. ,,ირაკლისთან” 1 783. 32 ლარზე.

ბაღების შემდგომი ფუნქციონიებისათვის 21 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი საკვები პროდუქტების შესყიდვაზე 74 071 ლარზე (4 თვეზე გათვლილი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდეტმა ი/მ ,,ლევან ვადაქარიამ” და ი/მ ,,გოგი ტაბაღუამ”. 24 თებერვალს ტენდერი შედგა. მესამე რაუნდში ვაჭრობის შედეგად დაბალი ფასი (62 990 ლარი) დააფიქსირა ი/მ ,,გოგო ტაბაღუამ” და გამოვლინდა გამარჯვებულად. აღნიშნულ პირთან 7 მარტს დაიდო ხელშეკრულება.

ასევე, 24 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი პურზე და ფუნთუშაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. 24 თებერვალს ტენდერი შედგა და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ირაკლი“, რომელთანაც 9 მარტს 11 925 ლარზე დაიდო ხელშეკრულება.

სტრუქტურული ერთეულები ხელმძღვანელობენ გაერთიანების მიერ შედგენილი სავალდებულო მენიუებით, სადაც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ბავშვთა კვების ნორმები და კალორაჟები.

სტრუქტურულ ერთეულებში შემუშავებულია კონტროლის მექანიზმი, მათ ურიგდებათ ხელმოწერილი და ბეჭდიანი მენიუს ფურცელი მთელი თვის მანძილზე სამუშაო დღეზე გაანგარიშებით, ბავშვთა ყოველდღიური აღრიცხვის ტაბელი, საბოლოო ხარჯვის უწყისები, მიღება-ჩაბარების აქტები შეძენილ საქონელზე, რომელიც თვის ბოლოს ბარდება გაერთიანების ბუღალტერიას და ხდება შედარება ფაქტურებთან შესაბამისობაში.

პერიოდულად ხორციელდებოდა მონიტორინგი საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სტრუქტურული ერთეულების გაზით მომარაგების მიზნით 7 თებერვალს, 21 თებერვალს და 22 მარტს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა. 17 მარტს ერთ პირთან მოლაპარაკების სახით დაიდო ხელშეკრულება 1330 ლარზე, ხოლო 8 მარტს ისევ



გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გათხევადებულ აირზე, სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტნდენტმა. 15 აპრილს ტენდერი შედგა და გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ „ოთარ ცქირია“, რომელთანაც 28 აპრილს დაიდო ხელშეკრულება.

როგორც ავღნიშნე, ბიუჯეტში გათვალიწინებული არ იყო ოფისის და სამეურნეო ხარჯები. ,,ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 31 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება №20 გაერთიანების ბიუჯეტს დაემატა 75 500 ლარი. საიდანაც ოფისის ხარჯებს დაემატა 11 283 ლარი, განთავისუფლებული თანამშრომლებისათვის გასაცემ კომპენსაციას 18 190 ლარი, გახანგრძლვებული ჯგუფის აღმზრედელებისათვის 500 ლარი, კვების ხარჯებს 45 527 ლარი.

2011 წლის იანვარში შეიცვალა მშობელთა შენატანის გადახდის მექანიზმი და განისაზღვრა შემდეგი ოდენობით: ქ.ხობში -25 ლარი, სოფლის ბაღებში-20 ლარის ოდენობით,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 57,0 ათასიდან 70,0 ათასამდე სარეიტინგო ქულა-5 ლარი, ხოლო გადასახადიდან განთავისუფლდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 57,0 ათასამდეა და მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ სამი და სამზე მეტი შვილი. მშობელთა შენატანის ზრდა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ თანადაფინანსება უნდა ყოფილიყო გარკვეულწილად უფრო მეტი ვიდრე აქამდე იყო. გადასახადის ზრდამ გამოიწვია ბავშვთა კონტიგენტის შემცირება, თუ დაგეგმილი ვიყავით 965 ბავშვზე თებერვალში საბავშვო ბაღებში ბავშვთა რაოდენობამ შადგინა 645 აღსაზრდელი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულომ 2011 წლის 25 თებერვალს მიიღო №59 განკარგულება სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების აღსაზრდელთა მშობლების შენატანის ოდენობის თაობაზე, რის შედეგაც ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების აღსაზრდელთა მშობლების შენატანი განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

ა) ქ. ხობის ბაღებისთვის -20 ლარი;

ბ) სოფლის ბაღებისთვის -15 ლარი;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 57,0 ათასიდან 70,0 ათასამდე სარეიტინგო ქულა-5 ლარი.

აღსაზრდელთა მშობლის შენატანისგან განთავისულდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემდეგი კატეგორიის ოჯახები;

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 57,0 ათასამდეა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახები,რომელთაც ჰყავთ სამი და სამზე მეტი შვილი.

გ) საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მეომართა შვილები.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის თებერვლის თვიდან წლის ბოლომდე 25,9 % (225 აღსაზრდელი) გაიზარდა ბავშვთა კონტიგენტი. წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში ჩარიცხული იყო 864 აღსაზრდელი, აქედან სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი- 321 (35,9%) აღსაზრდელი, 5 ლარის გადამხდელი - 21 (2,4%) აღსაზრდელი, ხოლო სრულ თანხას იხდიდა- 531 (61 %ა) აღსაზრდელი.

იანვრის თვეში ბიუჯეტის შემცირებასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღებში შემცირდა საშტატო ერთეულები. შემცირდა მუსიკის, ძიძა სანიტრის და მეეზოვის შტატები, ხობის N1, ხობის N2, საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, შუა ხორგის, ახალსოფლის, ზუბის, პირველი მაისის საბავშვო ბაღებში ბავშვთა კონტიგენტის გამო შემცირდა ჯგუფები რამაც აღმზრდელის და აღმზრდელის თანაშემწის შემცირება გამოიწვია აღნიშნულ ბაღებში. ნახევარ შტატზე დარჩა აღმზრდელის თანაშემწე, მზარეული, მნე და მედდა.

2011 წლის მარტის თვეში ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა „სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტი,“ რომლის ფარგლებშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი შემუშავდა, რომლებიც დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი გააუმჯობესონ. საბავშვო ბაღების აღმზრდელებისათვის, მთავარი სპეციალისტებისათვის შეიქმნა მეთოდური რესურსები: „სკოლამდელი განათლების პროგრამა“, „სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა“, „საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა დამხმარე სახელმძღვანელო“, რომელიც დაურიგდა ყველა საბავშვო ბაღს.

გაერთიანებაში დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ხუთი-ექვსი წლის ასაკში, როცა ბავშვი სკოლაში შედის, მისი გონებრივი ფიზიკური და სოციალური შესაძლებლობები და უნარები უკვე მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბებულია. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი სათანადოდ იყოს მომზადებული სკოლისათვის, რათა მან უპრობლემოდ შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნის დაძლევა.

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესწალის მიზნით შემაჯამებელი მეცადინეობები ჩატარდა, სადაც ძალიან კარგად გამოჩნდა აღმზრდელების მუშაობა.

არიან აღმზრდელები, რომლებმაც დანერგეს სიახლეები და ცდილობენ მიაღწიონ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებთაც, უჭირთ ახალი მეთოდით ბავშვზე ორიენტირებული სააღმზრდელო პროცესის წარმართვა. ამისთვის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში თვეში ერთხელ აღმზრდელთათვის ტარდება კონსულტაციები.

ივნისის თვეში ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა კონკურსი - „ჭკვიანი ჭკვიანთა შორის“, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით. 1 ივნისს ყველა საბავშვო ბაღში ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა.

საზეიმოდ მოხდა სკოლაში წამსვლელი ბავშვების გაცილება. 2011 წელს 260 ბაღგავლილი აღსაზრდელი მიუჯა სკოლის მერხს.

1 ივლისიდან საზაფხულო არდადეგები გამოცხადდა საბავშვო ბაღებში. არდადეგების პერიოდში სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში ჩატარდა საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელთნაკეთი სათამაშოების გამოფენა-დათვალიერება.

1 სექტემბერს საბავშვო ბაგა-ბაღებში სასწავლო -სააღმზრდელო პროცესის დასაწყებად სხვადასხვა საკვები პროდუქტებით მომარაგებაზე ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ „ლევან ვადაქარია“, რომელთანაც 22 აგვისტოს 91 234 ლარის შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება. ასევე პურით და ფუნთუშით მომარაგებაზე ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „ირაკლი, რომელთანაც 1 სექტემბერს 14 846 ლარის შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება.

საბავშვო ბაგა-ბაღების (სამეურნეო) საწმენდი და საპრიალებელი საქონლით მომარაგებაზე გამარტივებული შესყიდვით 2 966 ლარის ხელშეკრულება ი/მ „მიმოზა გერგაია“-სთან გაფორმდა.

1 სექტემბერს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების 29-ვე სტრუქტურულ ერთეულში სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესი განახლდა. სექტემბრის თვის მონაცემებით საბავშვო ბაღების კონტიგენტი განისაზღვრა 839 აღსაზრდელით. საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების განსახორციელებლად სახელფასო ფონდში არსებული ეკონომიის თანხიდან შრომითი ხელშეკრულების წესით ავიყვანეთ მეთოდისტები, რომლებიც ზონების მიხედვით კონსულტაციას უწევდნენ აღმზრდელებს.

4-5 ნოემბერს ქ.ქუთაისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განახორციელა ,,,ადგილობრივ დონეზე სკოლამდელი განათლების სექტორის განვითარების ხელშეწყობის პროექტი“,რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები გადამზადდა, სადაც ადგილზე შემუშავდა მთავარი სპეციალისტების და აღმზრდელების გადამზადების ვარიანტები. შემუშავებული ვარიანტის საფუძველზე დეკემბრის თვეში სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში ორდღიანი ტრენინგი თემაზე-„თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“ ჩატარდა, ტრენერი იყო აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების აკადემიური დოქტორი-იაგორ ბალანჩივაძე. ტრენინგზე გადამზადდა 20 აღმზრდელი.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის გადაწყვეტილებით, 23 ნოემბრის გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების თანამშრომლებზე გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით ხელფასის ოდენობის 80%.

დეკემბრის თვეში საბავშვო ბაგა-ბაღების სასაჩუქრე ნაკრების შესაძენად დაიხარჯა 4 500 ლარი. ერთი სასაჩუქრე ნაკრების ღირებულება შეადგენდა 5,17 ლარს.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. წლის ბოლოს ჩატარდა ზამთრის იკებანა, საახალწლო თემატიკაზე შექმნილი ხელთნაკეთი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც 29-ვე სტრუქტურულმა ერთეულმა მიიღო მონაწილეობა. მათივე მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი.

და ბოლოს წარმოგიდგენთ გაერთიანების ერთი წლის ფინანსური ანგარიშს:

2011 წლის ბიუჯეტი ფინანსური გეგმით შეადგედა 668 800 ლარს, აქედან ბიუჯეტით–599 584 ლარი, ხოლო მშობელთა შენატანი–69 200 ლარი.

2011 წლის ფაქტიური შესრულება შეადგენდა 664 571 ლარს, აქედან ბიუჯეტით–597 240 ლარი, მშობელთა შენატანი–67 331 ლარს (97% ).

ხარჯები:

წლის განმავლობაში ფინანსური გეგმით საბიუჯეტო ხარჯებმა შეადგინა 664 571 ლარი. აქედან ხელფასებზე გახარჯულია 397 575 ლარი. ბავშვთა კვებაზე 146 022 ლარი. ოფისის ხარჯებისათვის 59 182 ლარი. მათ შორის: კომუნალური ხარჯებისთვის 39 372 ლარი, საკანცელარიო ნივთებისთვის 4 771 ლარი, სამეურნეო საქონლის შესაძენად 11 631 ლარი და კომპიუტერული მომსახურებისთვის 3 408 ლარი. ინვენტარისთვის–7 779 ლარი, კაპიტალური რემონტისთვის–3 243 ლარი.

2011 წლის ბიუჯეტის და შტატების შემცირებამ მეტნაკლებად იმოქმედა ბაღების ნორმალურ ფუნქციონირებაზე, ამიტომ გაერთიანების მიერ შედგენილი 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა ის შტატები, რომელიც აუცილებელია სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. წინსვლა უკეთესობისაკენ ნამდვილად არის, მხარდაჭერას და თანადგომას მუნიციპალიტეტის მხრიდან ვცდილობთ გავცეთ პასუხი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობით, დაკისრებული მოვალეობის სრული პასუხისმგებლობი. გპირდებით, რომ 2012 წელი უფრო წარმატებული იქნება.

>>>>>>>>>> 12

11<<<<<<<<<< მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ექო

# ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“2011 წლის მუშაობის ანგარიში

ნოზანა თათარიშვილი– ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მიზანია ფორმალური, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების განხორციელება, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, სერთიფიცირებული სპეციალისტის მომზადება-გადამზადება, თანამედროვე პროფესიული ცოდნისა და მეთოდების გავრცელება. თავაზობს მსმენელებს შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებს. მიზნის მისაღწევად ცენტრი უზრუნველყოფს თითოეული მსმენელის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს; ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (ინკლუზიური სწავლება), პრობაციოენერთათვის, სათანადო სასწავლო პირობების შექმნაზე. ცენტრის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოსა და ადმინისტრაციას. ცენტრის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს „ცენტრის შინაგანაწესით“, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ცენტრის ყველა თანამშრომლისა და მსმენელისათვის.

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი, შეიქმნა და დაფუძნდა 2011 წლის 26 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოკლევადიანი, გადამზადების პროგრამები ცხრა სპეციალობაში, ესენია: „ბც კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა“ გადამზადების სამთვიანი კურსები (არასაბიუჯეტო სექტორი) დაამთავრა - 57 მსმენელმა. „პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი“ გადამზადების სამთვიანი კურსები (არასაბიუჯეტო სექტორი) დაამთავრა 25 მსმენელმა. „თექის დამუშავების“ გადამზადების სამთვიანი კურსები დაამთავრა -36 მსმენელმა. „ტ-1 კატეგორიის ტრაქტორისტ-მემანქანის“ გადამზადების ორთვიანი კურსები (არასაბიუჯეტო სექტორი) დაამთავრა – 19 მსმენელმა. „მდივან-რეფერენტის“ გადამზადების სამთვიანი კურსები დაამთავრა -13 მსმენელმა; „ქალისა და მამაკაცის სტილისტი (პარიკმახერი) გადამზადების სამთვიანი კურსები დაამთავრა 15 მსმენელმა. სამუშახელო ბაზრის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, სამშენებლო პროფილის მუშახელის დეფიციტი, რის გამოც გავხსენით „მომპირკეთებელი“ (მეფილე) გადამზადების სამთვიანი კურსები, რომელიც დაამთავრა 15 მსმენელმა. დღევანდელობამ მოიტანა აუცილებლობა, ელემენტარული საკომუნიკაციო უცხო ენის ცოდნისა, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი დაკვეთაც უცხო ენების შეწავლა გახდა; რის გამოც გავხსენით „უცხო ენის“ (ინგლისური ენა) გადამზადების, უფასო, სამთვიანი კურსები, რომელიც დაამთავრა 15 მსმენელმა. „მინანქრის ხელოსნის“ გადამზადების ორთვიანი კურსები დაამთავრა 5 მსმენელმა.

საანგარიშო წელს სულ, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხა 210 მსმენელი, დაამთავრა 188; დანარჩენი განაგრძნობს სასწავლო კურსს გარდამავალ ჯგუფებში.

ცენტრის 2011 წლის ფინანსური ანგარიში:

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის N56 დადგენილების საფუძველზე ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 50



000 ლარის ოდენობით , ხოლო ადგილობრივი შემოსავლებიდან (კერძოდ „ბც“ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა მოსამზადებელი კურსები, „ტ-1 კატეგორიის ტრაქტორისტ-მემანქანის“ გადასამზადებელი და „პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ–ოპერატორის“ შემსწავლელი კურსები) მიღებულმა შემოსავალმა 2011 წელს შეადგინა 6300 ლარი. სულ სასწავლებლის ბიუჯეტი 2011 წელს განისაზღვრა 56 300 ლარით. ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიიდან სასწავლებლის წლიურმა სახელფასო ფონდმა საშტატო განრიგით შეადგინა 31 330 ლარი. სახელფასო ეკონომიის ხარჯზე, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ცენტრის ყველა თანამშრომელზე გაცემულიქნა პრემიალური თანხა ჯილდოს სახით 2320 ლარი; ხოლო საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით 1764 ლარი. სულ პრემიებზე გახარჯულია 4084 ლარი.

საქონელი და მომსახურების მუხლით სასწავლებლის ბიუჯეტიდან 2011წელს გახარჯულია 11486 ლარი.

მათ შორის:

ა)შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება განისაზღვრა №5210 ლარით.

ბ) მივლინების მუხლში გახარჯულია 240 ლარი.

გ) საკანცელარიო ნივთების შეძენის ხარჯმა შეადგინა 580 ლარი,

დ) კავშირგაბმულობის მუხლით–605 ლარი. რაც მოიცავს ინტერნეტის მომსახურებისა და ინტერნეტ-მოდემის შეძენის ხარჯს.

ე)კომუნალური მომსახურების მუხლით, რომელიც მოიცავს ელ.ენერგიის და ზამთრის სეზონისთვის გათბობის მიზნით შეშის შეძენის ხარჯი განისაზღვრა 605 ლარით.

ვ) ცენტრის ბიუჯეტიდან სამეურნეო საქონლის შეძენის მუხლით გახარჯულიქნა 2436 ლარი და შეძენილიქნა სასწავლო პროცესისათვის საჭირო გამოლევადი მასალა და ინვენტარი, კერძოდ:

„მომპირკეთებელი, (მეფილე)“ გადამზადების ჯგუფისათვის შეძენილიქნა 520 ლარის ღირებულების სასწავლო გამოლევადი მასალა და ინვენტარი: სხადასხვა სახის ფილები, ფილების საჭრელი, თარაზო, ელექტრო ბურღი, რეზინის ჩაქუჩი, მოსაბათქაშებელი ქაფჩა, ამრევი ჩხირი, ფისოვანი ცემენტი, შემავსებელი შემადგენლობა, ბურღის ნაცმი ბეტონზე.

„მინანქრის ხელოსანი-ს“ გადამზადების ჯგუფის მსმენელთათვის შეძენილიქნა 560 ლარის ღირებულების სასწავლო გამოლევადი მასალა; კერძოდ: ვერცხლის სხმულები და საკიდები, მინანქრის ფხვნილი, ბორმანქანა, პინცეტები, ფუნჯები, ტიხარი, ზუმფარა, მაგიდის სანათები, ქლიბები, გამადიდებელი შუშა.

„ქალისა და მამაკაცის სტილისტის (პარიკმახერი)“ გადამზადების ჯგუფის მსმენელთათვის შეძენილიქნა 68 ლარის ღირებულების სასწავლო გამოლევადი მასალა და ინვენტარი. კერძოდ: ელექტროფენი, საპარიკმახერო მაკრატელი, თმის საღებავები.

„თექის ხელოსანი“–გადამზადების ჯგუფის მსმენელთათვის შეძენილიქნა 240 ლარის ღირებულების სასწავლო გამოლევადი მასალა. კერძოდ: მატყლი, წებოვანი ქსოვილი, ქსოვილი (ტული), ჩასათექი ნემსი, თექის აქსესუარები.

სასწავლებლის დერეფნის მიმდინარე კოსმეტიკური რემონტისთვის დახარჯულია 221 ლარი.

სასწავლებლის შენობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეძენილიქნა 450 ლარის ღირებულების სახანძრო დაფის კომპლექტი;

ზ) კომპიუტერული მომსახურების ხარჯმა შეადგინა 555 ლარი. კერძოდ, სასწავლებლის ვებ გვერდის შესაქმნელად 450 ლარი, კარტრიჯების შესაძენად და დასატუმბად 105 ლარი;

თ) ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯებმა 2011 წელს შეადგინა 1905 ლარი, რაც მოიცავს საწვავის შეძენისა და ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯს.

„ბც“ კატეგორიის მძღოლთა მოსამზადებელი ჯგუფის“ სასწავლო მანქანისთვის შეძენილიქნა 455 ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები, კერძოდ საჭის მართვის დაბოლოებები, ხუნდები, საბურავი, მინის მწმენდი, სამუხრუჭე სითხე, ზეთის ფილტრი.

ი) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში – ბანკის მომსახურებამ 2011 წელს შეადგინა 80 ლარი.

2.არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2011 წელს განხორციელდა ძირითადი აქტივების შეძენა–4400 ლარი ( მანქანა-დანადგარების მუხლი). კერძოდ, გადამზადების ჯგუფ „პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორის“ ლაბორატორიისთვის შეძენილიქნა პერსონალური კომპიუტერები და ქსეროქსი-პრინტერი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებულიქნა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები. დაიდო და გაფორმდა ხელშეკრულებები ცენტრის ყველა თანამშრომლებთან. ცენტრი ანხორციელებს თანამედროვე ტექნიკის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, საოფისე დოკუმენტების შედგენას, მოწესრიგებას და არქივირებას; ბარათების, წერილების შედგენას, მათი რედაქტირებას, დამუშავებას და გაგზავნას შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. 2011 წლის 9 თებერვლიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოებაში იყო „გასული კორესპონდენციები“-ს აღრიცხვის ჟურნალი (სულ გასულია 68 კორესპონდენცია). „შემოსული კორესპონდენციები“-ს აღრიცხვის ჟურნალი- (სულ შემოსულია 39 კორესპონდენცია); მოსწავლეთა სახელობითი ჟურნალი; მართვის მოწმობების ძირის გაცემისა და სერთიფიკატების გაცემის ჟურნალები.

მსმენელთა შერჩევისა და პროფორიენტაციის მიზნით მუშაობს ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც სწავლობს სტუდენტებისა და მათი მშობლების ინტერესებსა და სურვილებს; აწვდის მათ ინფორმაციებს სასწავლო ცენტრში არსებული სპეციალობების შესახებ; ეხმარება ახალი პროფესიის არჩევასა და დაუფლებაში. „გინდა გქონდეს წარმატებული პროფესიული კარიერა? იჩქარეთ თქვენი სწავლა ფინანსდება! აირჩიე პროფესია, გახდი ჩვენი სასწავლებლის სტუდენტი, დაამთავრე და დასაქმდი“. აი სლოგანი, რომლითაც ვსარგებლობთ. სარეზერვო განცხადებებისა და მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვგეგმავთ გადამზადების კურსების გახსნას.

ცენტრში, მსმენელთა ჩარიცხვისთვის აუცილებელი პირობაა საბაზო ან სრული საშუალო განათლება; მსმენელთა ასაკი შეზღუდული არ არის. სოციალური სტატუსის მქონე პირთათვის ( ობოლნი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები; ლტოლვილები და ის პირები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; სასწავლო ცენტრის თანამშრომლები და მათი შვილები; პრობაციონერები;) ფასიან სექტორზე სწავლისას შემოღებულია შეღავათიანი ტარიფი - 20 % -იანი ფასდაკლება.

ცენტრის ადმინისტრაციის მირ 2011 წელს დაგეგმილიქნა და ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები: მსმენელთა გაცნობის საღამო; „თექის დამუშავების“ ჯგუფის მსმენელთა შეჯიბრი: „თექის ნაკეთობათა დამზადებაში“; ღია გაკვეთილები; მსმენელთა სასერტიფიკაციო გამოცდა-პრეზენტაცია-გამოფენები; ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ზეიმი; ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში: 26 მაისს ჩატარებულ გამოფენაში; ხოლო იანვრის თვეში ჩატარებულ „საახალწლო იკებანაში“, რომელშიც აქტიურად ჩაერთო ცენტრის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი.

ცენტრის გადამზადების პროგრამების განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგები, რომელთაც შემუშავებული აქვთ სასწავლო კურსის მოქნილი პროგრამები–კურიკულუმები და სილაბუსები, რაც ხელს უწყობს მათ სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დანერგვაში.

სახელობო - პროფესიული განათლება ითვალისწინებს სწავლის თანამედროვე მეთოდს „სწავლა მოქმედებაში“. დიახ, თუ უშუალოდ არ ჩაერთე და თვითონ არ იწვნიე და არ იგრძენი არჩეული პროფესიის „გემო“, ვერ დაოსტატდები, თუ შეგირდი არ ყოფილხარ, ოსტატი ვერ გახდები.

თუ, ჩვენი საზოგადოება არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი სპეციალობა, არამედ არსებობს კარგი და ცუდი სპეციალისტი, უმუშევრობის პრობლემა ვერ მოგვარდება. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ადამიანი მუდმივად სწავლის და ძიების პროცესში უნდა იყოს, რის საშუალებასაც იძლევა პროფესიული განათლება და ჩვენი სასწავლო ცენტრი.

## სხვა გაზეთებიდან



თინათინ გერგაია საბავშვო ინტელექტუალური გადაცემის 2011 წლის „ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტია. თინათინი 12 წლისაა. სწავლობს კომაროვის სახელობის 199-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასში. მამამისი, ვახტანგ გერგაია პროფესიით ინჟინერ–არქიტექტორია. დედა–ნონა თოდუა კი–ფიზიკოს-მათემატიკოსი. ჰყავს უმცროსი ძმა, 10 წლის გიორგი.

ამჯერად თინათინს პატარა პოლიტიკოსის ამპლუაში წარმოგიდგენთ:

# რომელ პროფესიაზე ოცნებობს ,,ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტი?

–ცოდნა წიგნებიდან და შემეცნებითი ინტერნეტგვერდებიდან დავაგროვე. ყოველთვის მიზიდავდა საინტერესო მასალების კითხვა. საკმაოდ ცნობისმოყვარე ვარ. სკოლაში ვცდილობ სწავლით გამოვირჩეოდე. ყველა საგანს თითქმის ერთნაირად ვსწავლობ, თუმცა ტექნიკური საგნები განსაკუთრებით მიყვარს. მახსოვრობაც კარგი მაქვს. სხვათა შორის, ჩემი ძმა გიორგიც ჭკვიანი ბავშვია.

***გადაცემა „ყველაზე ჭკვიანში“ მონაწილეობის შემდეგ სკოლაში პოპულარული გახდებოდი.***

–ასეა. მთელი სკოლა მილოცავდა ფინალში გასვლას. ის მასწავლებლებიც კი, რომლებიც არ მასწავლიან.

***თვითონ გადაწყვიტე „ყველაზე ჭკვიანში“ მონაწილეობა?***

–დიახ. პატარაობიდანვე მსურდა ამ პროექტში მონაწილეობა. მშობლები მეუბნებოდნენ, შენ წერით გადმოცემ ცოდნას და ნააზრევს და არა სიტყვიერად, ამიტომ ძალიან გაგიჭირდება „ყველაზე ჭკვიანში“ შენი ცოდნის გამომჟღავნებაო. საბოლოოდ ჩემი გავიტანე და მაინც გავედი ამ პროექტის შესარჩევ ტურში. აღმოჩნდა, რომ სიტყვიერადაც კარგად და სწრაფად გადმოვცემ ჩემს ცოდნას.

***ფინალში შენი კონკურენტი იყო ცოტნე გვასალია. ის ძლიერი კონკურენტი იყო?***

–საკმაოდ. ცოტნე ძალიან ჭკვიანი ბავშვია.

***დიდი რომ გაიზრდები, პროფესიით ვინ გინდა, რომ გამოხვიდე?***

–პროგრამისტი. ინფორმატიკას უკვე ვეუფლები და კომპიუტერიც საკმაოდ კარგად ვიცი. უკვე ვფლობ რამდენიმე კომპიუტერულ პროგრამას. არადა, პატარა რომ ვიყავი, ექიმობა და ადვოკატობა მსურდა, მაგრამ ახლა ამ პროფესიებში თავი ველარ წარმომიდგენია.

***პრეზიდენტობა არ გსურს?***

–არა, რას ამბობთ! პრეზიდენტობა ნაკლებად ქალურად მიმაჩნია და ყოველთვის მგონია, რომ პრეზიდენტი მამაკაცი უნდა იყოს. მამაკაცები ქალებზე გაცილებით ჭკვიანები და ალღოიანები არიან.

***მიხეილ სააკაშვილი როგორი პრეზიდენტია?***

–მან ბევრი კარგი გააკეთა, მაგალითად, ქალაქები გაალამაზა, საავადმყოფოები ააშენა...

***დავუშვათ, მაინც გახდი საქართველოს პრეზიდენტი, რას გააკეთებდი?***

–სხვადასხვა დარგში გავატარებდი რეფორმებს, განსაკუთრებით კი განათლების სიტემაში.



***რა არ მოგწონს განათლების სისტემაში?***

–არ მომწონს სკოლებში მეთორმეტე კლასის დამატება, რადგან მთელი წლის განმავლობაში ახალი არაფერი ისწავლება და მიმაჩნია, რომ ეს ერთი წელი ფუჭად დროის კარგვაა. აგრეთვე არ მომწონს, რომ ყოველ წელს სახელმძღვანელოები იცვლება. ეს ყველაფერი სწავლაში ხელს გვიშლის. პრეზიდენტი რომ ვიყო, უამრავ კულტურის სახლს და საბავშვო ბიბლიოთეკას ავაშენებდი, მინდა, რომ ახალმა თაობამ ძალიან ბევრი ვიკითხოთ.

***ბოლოს რა წაიკითხე?***

–მაინ რიდის „უთავო მხედარი“. ახლა კი სტენდალის „წითელსა და შავს“ ვკითხულობ.

***სტენდალის ნამდვილი სახელი და გვარი იცი?***

–რა თქმა უნდა, ანრი ბეილი. სხვათა შორის, რაც კი წამიკითხავს, ყველაზე მეტად ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერი“ და მაინ რიდის „უთავო მხედარი“ მომეწონა.

***სამი მუშკეტერი“ მამა დიუმას დაწერილია თუ შვილის?***

–მამის. დიუმა შვილმა „ქალი კამელიებით“ დაწერა.

***დემოკრატია რა არის?***

–დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას ნიშნავს. რაც შეეხება დემოკრატიულ სახელმწიფოს, ასეთად წარმომიდგენია ქვეყანა, სადაც ტარდება სწორედ ის რეფორმები, რომელსაც ხალხი მოითხოვს.

***ფილოსოფია რა არის?***

–ფილოსოფიაც ბერძნული სიტყვაა და სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. ფილოსოფოსები ჭკვიანი და ბრძენი ხალხია და მათ ნათქვამს ყურადღება უნდა მივაქციოთ.

***ჰიპოკრატეს ფიცი რა არის?***

–ჰიპოკრატე ეროვნებით ბერძენი იყო და ის მიჩნეულია მედიცინის მამად. მან მედიცინაში მრავალი მეთოდი დანერგა და ავადმყოფების მიმართ თავდადებული იყო. ამიტომ, დღეს, ვინც ექიმი ხდება, ჰიპოკრატეს ფიცს ადებინებენ, რომ მომავალი ექიმებიც ჰიპოკრატესავით თავდადებულები იყვნენ პაციენტებისადმი.

***რას ნიშნავს მუნიციპალიტეტი?***

–მუნიციპალიტეტი ქალაქის სამმართველო, იგივე მერიაა.

***როგორი გინდა იყოს შენი სამშობლო?***

–ქართველი ხალხი ძალიან მოუწესრიგებლები და გულმავიწყები ვართ. არ ვიცავთ სისუფთავეს. მინდა, რომ პირველ რიგში, ადამიანები მოვწესრიგდეთ, დავიცვათ ეთიკური ნორმები და შემდეგ ეს ყველაფერი სამშობლოზეც აისახება.

***ესაუბრა ნინო მაისურაძე, გაზეთი „ყველა სიახლე“.***

# ფსიქოლოგიის როლი ბავშვთა აღზრდის საქმეში

ფსიქოლოგია რაც დრო გადის უფრო და უფრო უახლოვდება მეცნიერების მრავალ დარგს, უპირველეს ყოვლისა კი–პედაგოგიკას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნა, რომელიც დროთა განმავლობაში მივიწყებული იყო, დღეს ისევ განიცდის აღმასვლას. მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში. მასწავლებელი მუდმივად რაღაცას ცვლის მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების კორექციას. სწავლის უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით არ გადაეცემა ბავშვს, ამიტომაც ფსიქოლოგიურ ცოდნა-გამოცდილებას დიდი ყურადღება ექცევა. თუ რატომ გაჩნდა ასეთი ინტერესი განათლების მიმართ, ამ კითხვაზე საკმაოდ მარტივი პასუხი არსებობს–ყველაზე ძვირფასი რესურსი, რომელიც გააჩნია ქვეყანას, არის ადამიანური რესურსი, ამიტომაც მისი ოპტიმალური განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის.

ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების პროცესში მრავალი თეორია მიეძღვნა. ერთ-ერთი არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. დღეს არსებული მოსაზრება ნამდვილად ჭეშმარიტია–უზნაძე, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში არ დაბადებულიყო, მის გენიალობას დღეს მსოფლიო უდავოდ აღიარებდა. იგი, მართლაც რომ ღირსეულ ადგილს იჭერს ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების გვერდით, როგორებიც არიან: პიაჟე, ერიქსონი, ფროიდი და ა.შ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია. მისი კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. მისი აზრით პიროვნება არის აქტიური არსება, რომელიც ექვემდებარება აღზრდას. ეს იდეა დაედო საფუძვლად განწყობის თეორიას. ის პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდა დიმიტრი უზნაძე, მისი თეორიისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. სწორედ ამ გზით მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს, აღზრდა კი თავის თავში გულისხმობს სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. ამ გზაზე ადამიანი ცდილობს, მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეიქმნას და კეთილდღეობის მაქსიმუმს მიაღწიოს. წარსული შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმძღვანელოდ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი აგებს საკუთარ აწმყოსა და მომავალს. პედაგოგიკის დანიშნულების რეალიზაცია კი მოითხოვს აღზრდის ობიექტს, რომელსაც ბავშვი წარმოადგენს. ხშირად ბავშვის ფენომენი არასწორად არის გაგებული, ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას არ უნდა მოხდეს მოვლენების დაჩქარება და ბავშვს არ უნდა მოვთხოვოთ მოზარდებისთვის დამახასიათებელი ქცევები. ერთი სიტყვით, ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა. ცხოვრების ამ ეტაპის არასრულფასოვანი და არაადეკვატური გავლა განაპირობებს იმას, რომ მოზარდობისას ინდივიდისთვის დამახასიათებელი იქნება ბავშვური ქცევები, ანუ ის დანაკლისი, რაც მან საწყის ეტაპზე განიცადა უარყოფითად იჩენს თავს ცხოვრების შემდგომ წლებში. ასევე არასწორად არის გაგებული თამაშის ფენომენი. დღესდღეობით თამაშებით სწავლება საკმაოდ აქტუალურია. ბაგა-ბაღიდან ბავშვი პირდაპირ სასკოლო მერხთან ხვდება, ბაღში კი მას თამაშის მეტი არაფერი უკეთებია, სკოლამდელი აღზრდის დანერგვა კი გულისხმობს ბავშვის მომზადებას სასწავლო პროცესისათვის. სკოლაში კი ბავშვის დიდად შეზღუდვა, თამაშის უფლების ჩამორთმევა, მისი მაქსიმალური გაკონტროლება იწვევს ბავშვის სურვილების ფრუსტრაციას. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაში ეს არის ბავშვის იდეებისა და ფანტაზიების რეალიზაციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი–სწორედ ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება აღზრდის პროცესში. ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს, ამის გარეშე იგი აღზრდის პროცესში დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს. უზნაძე ასევე საუბრობს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს აღმზრდელობით პროცესს, მან ამ ეტაპს „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა. ბზარი აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებებში ჩნდება. ეს პრობლემა აღმოცენდება სწორედ მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს. ეს საკითხი მწვავე პრობლემად დგას დღევანდელ სკოლებში. „ის რაც, აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად ითვლება“ – ამბობს უზნაძე. ამ მდგომარეობის შერბილების ერთ-ერთი გზა არის მოსწავლის განვითარების ეტაპების შესწავლა, თითოეული სტადიისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ცოდნა. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ათვისება შესაძლებელს გახდის ეს ბზარი შევავსოთ. უზნაძე შემთხვევითად არ მიიჩნევს პედაგოგიკას ხელოვნების ნიმუშად, სადაც მასწავლებელს გარდა აღმზრდელობითი ნიჭისა, სჭირდება პედაგოგიური უნარ–ჩვევები და განასხვავებს ერთმანეთისგან პრაქტიკულ და თეორიულ პედაგოგიკას. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, თავისი საქმე აკეთოს საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების საკეთილდღეოდ. აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც „მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას“. უმნიშვნელოვანესი აღზრდის პროცესში არის დისციპლინა, სწორედ მისი საშუალებით ვითარდება ნებისყოფა, თუმცა გადამეტება არც აქ ვარგა. ძლიერი ნებისყოფა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ნებისყოფის შენარჩუნება დამოკიდებულია გავარჯიშებაზე და სკოლა კი ამის საუკეთესო ადგილი გახლავთ. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ნდობისა და სიყვარულის ატმოსფერო არის უმნიშვნელოვანესი, რათა ბავშვი იყოს გახსნილი სწავლების პროცესის მიმართ. განწყობის ფსიქოლოგია ადამიანს მთლიანობაში განიხილავს და არ ყოფს მას ცალკეული პროცესების ჯამად. განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“. განწყობა აიხნება, როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა. ადამიანის ქცევას კი განსაზღვრავს მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს რაიმეს დეფიციტს. გარდა სუბიექტური ფაქტორისა, აუცილებელია იმ ობიექტური ფაქტორის არსებობა, რომელსაც გარემო ეწოდება. გარემო არის აუცილებელი ფაქტორი ქცევის განხორციელებისთვის. თუმცა, ადამიანის ქცევისადმი მზაობა იცვლება იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება. ანუ სიტუაცია ადამიანის ქცევას მანამ განსაზღვრავს, სანამ ეს ქცევა რეალიზდება. სიტუაციისადმი დამოკიდებულება კი ორგვარი არსებობს – დადებითი და უარყოფითი. ამ დამოკიდებულების ხასიათი კი განაპირობებს ადეკვატურ ქცევას, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, ბავშვს სწავლების პროცესისადმი დადებითი განწყობა შევუქმნათ, მოვახერხოთ მისი მთლიანი პიროვნების ჩაბმა სასწავლო პროცესში და მასალა აუცილებლად უნდა მოვარგოთ ბავშვის შესაძლებლობებს. მოსწავლის ქცევის განხორციელება აუცილებელია მოხდეს ისეთ გარემოში, სადაც სრულფასოვნად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები. ამ ყველაფრის ცოდნა არის უმნიშვნელოვანესი თითოეული პედაგოგისათვის. სწორად დაგეგმილი აღზრდის პროცესის შედეგად ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელმაც იცის თუ რა სურს ცხოვრებაში, რა არის კარგი და რა არის ცუდი, იგი რეალურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რასაც მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანი სწორად გეგმავს საკუთარ მომავალს და წარმატებაც გარანტირებული აქვს.

**მედეა კვიკვინია**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-3 კურსი.**

# „სამშობლოსათვის თუკი მოვკვდებით, სიკვდილშიც გვმართებს ჩვენ აღტაცება...“

საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან მტერს ებრძოდა ქართველი ერი. ურყევ სულს, ნებისყოფას, გმირულ შემართებასა და თავისუფლებისაკენ თავგანწირულ სწრაფვას თაობებს შთააგონებდა იმ გმირთა სახელებიც, რომელნიც საკუთარი კეთილდღეობის უარყოფითა და საქვეყნო საქმისთვის თავდადებით მშობელ ქვეყანას ემსახურებოდნენ.

სწორედ საკუთარ კეთილდღეობაზე, პირად ბედნიერებაზე უარის თქმით, საქვეყნო საქმისთვის, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის, თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა აირჩია ჩვენი მუნიციპალიტეტის სასიქადულო და საამაყო შვილმა, თენგიზ ქაჯაიამ.

დღეს თითოეულმა ქართველმა კარგად იცის საით მივდივართ, როგორ უნდა შევუერთდეთ იმ დიდ ოჯახს, რომელსაც ევროპა ჰქვია, როგორ ვიბრძვით ევროატლანტიკურ სივრცეში გასაერთიანებლად.



მაშინ, 1980-იანი წლების დასასრულს და 90-იან წლებში, ეროვნული თავისუფლებისათვის მოქმედებების იდეა და აზრი ჯერ ყველა ქართველის გულსა და გონებაში არ იყო შეჭრილი, იგი ყველას კუთვნილებას ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა. ჯერ კიდევ მიტინგებზე და შეკრებებზე ცნობისმოყვარეებიც იყვნენ.

თენგიზ ქაჯაიას კი, რომელიც ამ პერიოდში მხოლოდ 27 წლის იყო, ეროვნული ცნობიერება უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა და საქართველოსთვის მაღალი იდეალები ხალხის რწმენად და მათი მოქმედების დროშად ჰქონდა ქცეული.

1963 წლის 18 მარტი, ყველაზე ბედნიერი დღე გათენდა ქაჯაიების ოჯახში, რადგან ამ დღეს დაიბადა პირველი შვილი, ოჯახის პირველი სიხარული თენგიზ ქაჯაია. იზრდებოდა იგი ჩვეულებრივ ბავშვად, როგორც ათეულობით მისი თანატოლი, ცხოვრობდა ოჯახისა და სოფლის ყოველდღიური ცხოვრებით.

არავითარი გამორჩეულობა...

არავითარი წინასწარი მინიშნება იმაზე, თუ როგორ იზრდებოდა ჩვენს გვერდით გმირი.

უყვარდა კითხვა, კარგ და წარმატებულ მოსწავლედ ითვლებოდა, უყვარდა ზუსტი მეცნიერებები.

მაგრამ...

მაგრამ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ისტორიის მიმართ.

ისტორიული წიგნების კითხვა მაშინ უყვარდა, როცა ირგვლივ მხოლოდ სიჩუმე ისადგურებდა და თავისუფლად შეეძლო წაკითხულზე ფიქრი და განსჯა.

განსჯა მას შემდეგ დაიწყო, როცა მაშინდელ ჩვენს მდგომარეობას ვერაფრით ვერ შეუთავსა ილიას სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდესო“.

სკოლაში ასწავლიდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა მოგვიტანა, რომ საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია 1921 წლის თებერვალში ქართველ ხალხს ქომაგად და მხსნელად მოევლინა, რომ სსრკ–ში ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია, რომ სსრკ-ში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოა.

თანამოაზრეების გარეშე (იმ პერიოდში ასეთ რალაცეებზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო) მიხვდა, რომ არავითარი სოციალური სამართლიანობა არ გვქონია, რომ სინამდვილეში მე–11 არმია დამპყრობლად და ოკუპანტად იყო მოსული, რომ ადამიანის ფასი დაცემული იყო და არავითარი თანასწორობა, პირიქით „უფროსი ძმის“ დიქტატი ისე იყო გაძლიერებული, რომ რესპუბლიკის უფლებები ნულამდე იყო დასული.

...ხანდახან ფიქრს ოცნებაში გადაჰყავდა. ამ დროს მისი სული ბორგვას იწყებდა, რადგან არ იცოდა რით ეშველა იმ საწუხარზე და სადარდებელზე, რაც გააჩნდა საქართველოს... როგორ გაჩუმდეს, როგორ არ ამოიღოს ხმა, როგორ არ უნდა გაიბრძოლოს.

...და პირველი ნაბიჯები გადადგა... ოღონდ ეს მოხდა თბილისში, სტუდენტობისას ეზიარა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების იდეებს, პირადად გაიცნო ისინი. ამის შემდეგ თვითონაც გახდა თვალსაჩინო მებრძოლი ეროვნული იდეალებისთვის.

თენგომ შეიქმნა ბრწყინვალე კარიერა, თუმცა არ დამტკბარა ამ მიღწევით.

თენგომ შეიქმნა მატერიალური მდგომარეობა ცხოვრებისთვის, თუმცა პირადად არც უსარგებლია ამით.

მას ყველაფერი გააჩნდა იმისათვის, რათა ეცხოვრა უზრუნველად და განცხრომით ისე, როგორც ცხოვრობდნენ მრავალნი, მაგრამ მან, როგორც გამორჩეულმა ახალგაზრდამ, თავისი კარიერა, მატერიალური მდგომარეობა მთლიანად მოახმარა საქვეყნო საქმეს, დადგა იქ, სადაც მხოლოდ რჩეულები დგებიან.

ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში გაზრდილი, სრულიად ახალგაზრდა ბიჭი ეროვნული მოძრაობის ისეთი კორიფეების გვერდით იბრძოდა, როგორებიც იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ეროვნული ცნობიერების გაღვივების, ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სრულიად ახალი ეტაპის დაწყების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეებით ჩამოვიდა თენგიზ ქაჯაია ხობში და ამით დაიწყო მისი ბრძოლა „ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ. მან შექმნა თანამოაზრეთა საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომლებიც სოფელ-სოფელ, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ხალხს ეროვნული მოძრაობის, ხელისუფლების ძალმომრეობის პოლიტიკის შესახებ აძლევდნენ ინფორმაციებს. ყველა ქართველს ერთად დგომისკენ მოუწოდებდნენ.

თენგიზ ქაჯაიას ადამიანებთან ურთიერთობისას ახასიათებდა უშუალო დამოკიდებულება, გულწრფელობა, ხასიათის სიმტკიცე, მასში ბოროტების ნასახი, განაწყენებულის მიმართ ანგარიშსწორების სურვილიც არ იდო.

სწორედ ამიტომ იდგა მის გვერდით მეგობრების ფართო წრე, უამრავი ადამიანი, რომლებსაც მისი სჯეროდათ.

თენგიზ ქაჯაიას ჰქონდა მტკიცე ხასიათი. იყო ეროვნული მოძრაობის ერთგული, ეროვნული მოძრაობის ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე.

სწორედ ამიტომ, თენგიზ მურმანის ძე ქაჯაია, 27 წლის ასაკში, საქართველოს რესპუბლიკაში პირველ პრეფექტად დაინიშნა ხობის რაიონში. მან მცირე დროის მოღვაწეობის მიუხედავად, წარუშლელი კვალი დატოვა მშობლიური რაიონის ცხოვრებაში.

1991 წლის დეკემბერში, ვაიქართველების მიერ დაწყებულ სამოქალაქო ომში, თენგიზი პირველი წავიდა და თბილისში პარლამენტის შენობასთან იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მეგობრის, თანამებრძოლის გადასარჩენად წასულს შუა გზაში მოეწია მოღალატის ტყვია...

ამ საბედისწერო შემთხვევით, თენგიზ ქაჯაია, არამარტო მის ახლობლებს და მეგობრებს დააკლდა, არამედ ყველაზე მეტად ის დააკლდა მთელ საქართველოს, ჩვენს ქვეყანას, რომლის განთავისუფლებისთვისაც ის იბრძოდა და რომლის სიცოცხლე სულგაყიდულთა ტყვიით იქნა დაცხრილული.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“-ო და ჩვენც გვჯერა, ჩვენი ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელ ხსოვნას სათანადოდ დააფასებენ და სიკვდილის შემდეგ მისი სახელობის ქუჩის მაჩვენებელ ბანერს (რომელიც ასევე სულგაყიდულებმა დაცხრილეს) ისევ აღადგენენ ხობში და ეს იქნება მცირედი ვალის მოხდა ბატონ თენგიზ ქაჯაიას ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლის მაგალითზე სხვა გმირები უნდა გაიზარდონ.

**მანანა შულაია.**

## გმირები

# "თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა"

არის ტკივილი, რომელიც სიცოცხლის მანძილზე დაგყვება და ხშირად გახსენებს თავს. ხობში წმინდა სამების სახელობის ტაძრის გვერდით, ცოტნე დადიანის სახელობის სკვერში დგას ობელისკი, რომელზეც ხობელთა (და არა მარტო მათი) საამაყო გმირი ბიჭების სახელ-გვარებია ამოტვიფრული და მას შემზარავი თარიღი 2008 წლის აგვისტო აწერია... ***გოგა ბერაია, დათა ხურცილავა, მიხეილ იოსავა, ზვიად დათუაშვილი, გოგა ჭითანავა, ლევან ჭოჭუა, გოგიტა ქარჩავა, ლევან ტურავა, რამაზ კიტია.***



საქართველოში კერპზე მეტად, ყოველთვის გმირები იყვნენ პატივისცემით გარემოცულნი, რომლებშიც საზოგადოების მიერ გამოთავისუფლებული შინაგანი ენერგია იყო გასხივოსნებული, თვითგადარჩენის ინსტიქტგამძაფრებული ერი უკიდურესი შეჭირვების ჟამს თავისი წიაღიდან ყოველთვის შობდა ასეთ გმირებს, ხოლო ჩვენი ეროვნული ცხოვრება სხვა ერების მიმართ მეგობრობაზე და ურთიერთშემწყნარებლობაზე, პატივისცემაზე და არა სიძულვილზე, შენებაზე და არა ნგრევაზე, ასევე მსოფლიოს კულტურულ მიღწევებში ჩვენი განუმეორებელი და თვითმყოფადი სულიერი, მატერიალური და ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისაკენ იყო მიმართული, რომელიც ისტორიული ავბედითობის მიუხედავად, წარმატებით განახორციელეს ამ ბიჭებმა და საპატიო ადგილი დაიკავეს კაცობრიობის და ცივილიზაციის კულტურულ ელიტაში.

სამშობლოსათვის თავდადების, ერთგულების, სიმამაცის სიმბოლოდ წოდებული მათი სახელები ყოველი გავლისას გვაძლევენ რწმენას, რომ საქართველო ჭირთამთმენი, ძლიერი, ქედმოუხრელი ქვეყანა მარად იარსებებს და არ დაუშვებს „ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“.

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს, მომავალ თაობებს სამაგალითოდ ეყოფათ მათი გმირობა–სამშობლოსათვის თავის გაწირვა...

დიდება მათ სახელებს, რომლებიც ზეციდან უმზერენ და იცავენ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას.

სამშობლოსათვის გულანთებულო ბიჭებო! გჯეროდეთ, თქვენს სახელებს დავიწყება არ უწერია, რაც მეტი დრო გავა, მით მეტი თაობები შეგიყვარებენ, იტყვიან თქვენს სადიდებელს.

გვიყვარხართ და გვეამაყებით, თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ გმირებად არ იბადებიან, გმირებად იზრდებიან...

დიდებით მოსილებს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ.

ნათელი დაადგეს თქვენს საფლავებს.

***ლაშა ცატავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.***

## 16 აპრილი—მიცვალებულთა მოხსენიების დღე

### ნონა (ხატია) ალექსანდრია



უფალმა ინება შენი ამქვეყნიდან წასვლა, უფლის გამოძახებით მწარე წუთისოფელი დატოვე და უსიტყვოდ შეუერთდი ზეციურ სასუფეველს.

2012 წლის 26 აპრილს 34 წელი შეგისრულდებოდა. მხიარული, ლაღი, გამორჩეული, საუკეთესო თვისებებით იყავი დაჯილდოებული.

უშენოდ გატარებული, ერთი წუთიც კი გვენანება. ჩვენს გულში ვერაფერი შეავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, „თვით სიონის სალოცავმაც ვერ დამიამა გულის სიღრმეში ჩამალული მძიმე იარა“.

მეორე წელია დაბადების დღე იმქვეყნად გისრულდება. გვიყვარხარ და გვენატრები. სანთლებს ავანთებთ და ღმერთს შევთხოვთ, სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

***ფიქრია***

### კუკური რამიშვილი



ჩემო საყვარელო ბაბუა, უშენოდ როგორ ჩქარა მირბის დღეები, თითქოს წლებია არ მინახიხარ, ძალიან ძნელია უშენობა. იმ საბედისწერო დღემდე ერთმანეთს ვესაუბრეთ, ბევრი ვიხუმრეთ. სამწუხაროდ, ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარი ყოფილა. მოფერება არ იცოდი, მაგრამ მე სულ მეფერებოდი, მიყვარდი და ძალიან მენატრები.

შენი მოულოდნელი, უეცარი სიკვდილი თავზარდამცემი იყო. ძალიან დააკლდი ოჯახს, ძმას, ძმისშვილებს, მეზობლებს მეგობრებს. ის-ის იყო 70 წლისა გახდი, გიხაროდა, თითქოს მხნედ იყავი, მეამაყებოდი, რადგან ყველას უყვარდი, კარგი ავტორიტეტით ცხოვრობდი და უწყინარი იყავი. შენი სითბო არასოდეს დამავიწდება.

ბაბუ, მე ხშირად გინთებ სანთელს და უფალს ვავედრებ შენს სულს.

მიყვარხარ, ბაბუ!

**მარიამ რამიშვილი.**

### ფატიმა ნადარაია



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ფატი! უღვთო იყო შენი სიკვდილი, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება. ყველას ძალიან გვენატრები. ასე გვგონია, თითქოს სხვაგან ხარ წასული და მალე დაგვიბრუნდები.

შენ ნაადრევად, ულამაზეს ხანაში დატოვე სიცოცხლე, ირგვლივ მყოფებს კი სიკეთის და სიყვარულის მაგალითი დაგვიტოვე, გაჭირვების ტალკვესი და ყველასათვის სასურველი, მოულოდნელად გაგვიფრინდი ცათა სასუფეველში. ვინ იფიქრებდა, რომ სიკვდილი ასე უეცრად მოგერეოდა და ერთ წამში დაასრულებდა შენს ლამაზ სიცოცხლეს.

ბევრი იბრძოლე, თუმცა, განგებამ მაინც გძლია და მიგაბარა მაღალ ღმერთს. ასე გვგონია თითქოს დროებით დაგვტოვე და ისევ ხალისით შემოაღებ კარს... დატოვე ბევრი მოგონება და დიდი ტკივილი, გვაკლიხარ ყველას!..

ფატი, ძვირფასო! შენი მეგობრები ლამაზი ყვავილებით ისევ მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, მოვეფერებით შენს ლამაზ ხსოვნას, სულეთში მოფარფატე სულს, უფლის თვალი რომ დაიცავს საუკუნოდ!...

***მეგობრები.***

### პანტიკო ბუსქანძე



ულმობელმა სიკვდილმა უეცრად წაგვართვა შენი თავი... დიდმა გულმა ტკივილს ველარ გაუძლო და საბოლოოდ გაჩერდა.

დიდ ოჯახს, რომელსაც მთელი ცხოვრება ბურჯად ედექი, საყრდენი გამოეცალა. უშენოდ პირველად აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე, ცრემლებით სავსე თვალებით, უსაზღვრო მონატრებით, ტკივილით, რომელიც არასოდეს გაყუჩდება. ეს ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია, რომ ვერ გავაცნობიერეთ ჩვენო საიმედო, საამაყო ბაბუ. შენ ჩვენთვის ვაჟკაცობის, კაცურ-კაცობის, სიყვარულის მასწავლებელი იყავი, მეხსიერებაში ტკბილ-მწარე მოგონებად დაგვრჩები. ყველას ძალიან დააკლდი, ოჯახს, ძმებს, ნათესავებს, მეზობლებს, როგორ გამაოგნებლად დასრულდა შენი სიცოცხლე.

დაე, ყველა ჩვენთაგანის მონატრებამ, სიყვარულმა და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

***შვილიშვილები: ვახტანგ ლაგვილავა, გიორგი, პაატა, მარიამ ბუსქანძეები.***

# 16 აპრილი–მიცვალებულთა მოხსენიების დღე

## გოგი ბუკია



უშენოდ მეხუთედ მოვიდა 26 მარტი. გაზაფხულდა, თუმცა გაზაფხულმა მოსვლა ძალზე დააგვიანა, ალბათ ესეც რაღაცას ნიშნავს... გაზაფხულზე წახვედი, სიცოცხლეზე, ოჯახზე, მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი, თვალებში ჩამდგარი სევდა და დღემდე გაუნელებელი მწუხარება...

სიცოცხლე გრძელდება, შენ უკვე სამგზის ბაბუა ხარ გოგი. ნეტავ განახა ტატა, გოგი, ნუცა როგორი კარგები არიან, როგორი თბილები და ლამაზები. შენ არასოდეს გივიწყებენ. სიყვარულით ესათუთებიან და ეამბორებიან ტატა და გოგიჩო შენს სურათებს. იციან, რომ ძალიან „მაგარი“ ბაბუა ჰყავდათ.

შენი სახლი კვლავ აივსო სიხარულით. სწავლის დამთავრებისთანავე ოჯახს დაუბრუნდა შენი სათაყვანებელი შვილი და რძალი–გიორგი და თამუნა თავიანთი შვილებით. ხომ გრძნობ, რომ გისრულებენ შენს ნატვრასა და სურვილს–მრავალი შვილის ყოლას. პატარა ნუციკო, პატრიარქის ნათლული გახდა. ასე, რომ მხოლოდ შენ, შენი სითბო და მოფერება გვაკლია.

შენი და–ძმა გოდერძი და ტატა შენს შვილებსა და შვილიშვილებს არაფერს აკლებენ, მათში შენს თავს აიგივებენ და ხარობენ...

მე კი მხოლოდ შენი მონატრებით ვცოცხლობ.

***ნანი კილასონია.***

## გოგი გულუა



ჯერ მხოლოდ 40 დღე გავიდა, რაც გოგი გულუას–პატიოსნებით გასხივოსნებულ კაცს, გულმა უღალატა... ჩუმად, ისევე როგორც იცხოვრა, გაეცალა ჭირვარამით სავსე წუთისოფელს. სხვას თავისი სადარდებლით არასოდეს აწუხებდა, თუმცაღა ყველა გრძნობდა იმ მოურჩენელ და განსაკუთრებულ ტკივილს, რაც მას აფხაზეთის ომმა მოუტანა. ოჯახისა და შვილების მზრუნველობას გადაყოლილმა ვერ ძლია დიდ სიყვარულს, მშობლიურ ხობს დაუბრუნდა... არადა, სულ სხვანაირადააწყო თავისი ცხოვრების ახალგაზრდული წლები. მაღალი ზნეობით გამორჩეულ ოჯახში გაზრდილს (დედა ლუბა ლოლუა, მამა ოთარი) არც თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას დაურღვევია ოჯახის ტრადიციები, ინჟინრის დიპლომით ჩვენი ქვეყნის ულამაზეს კუთხეს–გაგრას მიაშურა, ქართველებთან ერთად დაუმეგობრდა აფხაზებს. აკი თავისი ცხოვრებაც აფხაზ მარინა აიბას დაუკავშირა, სახლი ააშენა, ორი ლამაზი ქალიშვილების მამა ვერც წარმოიდგენდა ცხოვრების ასეთ დასასრულს. იმის შედეგად, რომ ვერ დათმო თავისი ქართველობა, ოჯახიც დაინგრა... ხობში დაბრუნებულმა მთელი მისი ცხოვრება ოჯახისა და აფხაზეთის მონატრებაში გაატარა.

უკანასკნელ გზაზე მას ურიცხვ ადამიანებთან ერთად მისი მონატრებული შვილები, ამჟამად სარატოვში მცხოვრები დიანა და ქეთევან გულუებიც მიაცილებდნენ. იმ დღეს პროცესიას კიდევ ერთხელ გაახსენა თავი ქართულ-აფხაზურმა ტკივილმა. ვნახეთ ის დიდი ნაპრალი, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთი დღემდე ქმნის...

გოგი გულუას–ყველა დადებითი თვისებებით შემკულ, დიდბუნოვან, სიდარბაისლით გამორჩეულ პიროვნებას დიდხანს მოისაკლისებს თავისი ხობი, სოფელი გურიფული, რომლის სიყვარულს შესწირა მან თავისი პირადი ცხოვრებაც და, მე ვიტყოდი, სიცოცხლეც კი. 60-ს მიუღწეველი წავიდა ამქვეყნიდან და თან გაიყოლა უდიდესი სიყვარული, პატიოსანი კაცის სახელი. და-ძმა დიანა და თემურ გულუების ოჯახებს, ახლობელნათესავებს დაუტოვა გაუნელებელი ტკივილი და სევდა.

ნათელი დაადგეს მის სულს.

***მერი ლაგვილავა.***

## ორესტი გაბრავა



წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი თანამოაზრე და თანამებრძოლი, იგი და მისი თაობა ძნელბედობის წლებიდან მოდიოდნენ. მას საწუთროს გზასავალი არაერთხელ აუტალახდა, მაგრამ არც წაბორძიკებულა და არც დაცემულა. ჩუმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, თავისი ქვეყნის და ხალხისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში იცხოვრა.

მძიმედ იფურცლება ბატონ ორესტისათვის ფრონტული ცხოვრების ისტორიაც. ომის დაწყებისათანავე ჩადგა იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში, იბრძოდა, რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც, მაგრამ ბრძოლის ველს ბოლომდე არ მოსცილებია.

1945 წელს დაბრუნდა ფრონტიდან, სადაც დატოვა თავისი ჯანმრთელობა, მაგრამ ჩამოიტანა სამშობლოს დიდი სიყვარული. იგი სამართლიანად ამაყობდა თავისი ბიოგრაფიით. თვალებგაბრწყინებული ყვებოდა თავის წარსულზე. თავის საბრძოლო ეპიზოდებზე. კეთილი ბუნების, განათლებულ კაცს უყვარდა წიგნი, მეგობრად თვლიდა პრესის თითოეულ მუშაკს. ბუნებით, სულით და გულით დიდს, პატარა რამ ახარებდა. როგორი მადლობელი იყო როგორც ომის ვეტერანი იმ საახალწლო საჩუქრებით, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა 2011 წლის დეკემბერში წინასაახალწლო შეხვედრაზე გადასცეს.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა, რომელიც საყვარელი ადამიანის დაღუპვას თან ახლავს.

ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

***ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი.***

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი ორესტი მიხეილის ძე გაბრავა. ბატონი ორესტი 1947 წლიდან მუშაობდა ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის ესტატე შუშანიას სახელობის საშუალო სკოლაში სამხედრო სწავლებისა და ფიზკულტურის მასწავლებლად. 1994 წლიდან იყო პენსიონერი.

ბატონი ორესტი იყო შრომისმოყვარე, უაღრესად კეთილი, მიმტევებელი და ყველა იმ დადებითი თვისებების მატარებელი, რომელიც კეთილშობილ ადამიანს გააჩნია.

პირველ რიგში იყო მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი სიყვარულით, კეთილსინდისიერებით, კაცთმოყვარეობით, ერთგულებით. იყო კარგი ორგანიზატორი და აღსაზრდელებს სამშობლოსადმი თავდადებას უნერგავდა.

წავიდა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება და დატოვა ჩინებული ოჯახი.

მადლიანი ადამიანები არასოდეს დაივიწყებენ ბატონ ორესტს, კეთილშობილებით გამორჩეულ კაცს, რომელიც თავისი ცხოვრებით ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო მშობლიურ კუთხეს, შენს სათაყვანებელ ხალხს.

ნათელში ამყოფოს მისი სული.

***პირველი მაისის ე.ბ. შუშანიას სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.***

## ლორიტა ჯიქია-ბუკია



კეთილი, სათნო, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი, ასე იცნობდნენ ხობის საავადმყოფოს მედდას ლორიტა ჯიქია–ბუკიას ხობის მუნიციპალიტეტში. სწორედ სიკეთისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო უყვარდათ იგი.

ლორიტა ჯიქია პირველმაისელთა რძალი ძალიან ახალგაზრდა გახდა. ბედნიერები იყვნენ ის და გიგა ბუკია. მათ მზე და მთვარე ამოსდიოდათ თავიანთ ქალ-ვაჟზე–სალომესა და ცოტნეზე. განსაკუთრებით ხარობდნენ პატარა შვილიშვილით,–საბათი. ცხოვრება ლამაზი ფერებით ეჩვენებოდა და სიხარულს სიხარული ემატებოდა...

ვაგლახ, ეს სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. სილამაზით, ენერგიით, დიდი სიყვარულით სავსე ლორიტას უეცრად, მოურჩენელმა ავადმყოფობამ 47 წლისას სულ, რაღაც ორ თვეში მოუსწრაფა სიცოცხლე. დასანანია, რომ იგი აღარასოდეს იქნება თავის ლამაზ ოჯახში, მეუღლესთან, შვილებთან, დედამთილ-მამამთილთან, თავის მშობლებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, მეზობლებთან...

ლორიტა, როცა შენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, მინდოდა მენახე და მოგფერებოდი, კიდევ ერთხელ მენახა შენი ლამაზი თვალები და დიდი მადლობა მეთქვა გოგის მიმართ თბილი დამოკიდებულების გამო. მე ეს ვერ შევძელი.... რამდენჯერ დაგვჭირვებია შენი პროფესიული დახმარება და შენ არასოდეს გიყოყმანიაძ

ძალიან მტკივა გული ასე უეცრად რომ განეშეორე ამ წუთისოფელს. მენანება შენი ახალგაზრდობა რომ ასე გაილია, დაშორდი უსაყვარლეს ადამიანებს.

მჯერა, შენი სული თავის ადგილს მარადიულ სამყოფელში დაიმკვირდებს და იქიდან დაიფარავ შენს შვილებს, მეუღლეს, შვილიშვილს და ყველას, ვინც კი გიყვარდა.

განისვენე მშვიდად, ლამაზო და კეთილო ადამიანო.

***ნანი კილასონია.***

## გიო შეროზია



გიო გარდაიცვალაო.... აზრი გაიყინა, ფიქრი შეწყდა, დარჩა ტკივილი უსაშველო, მოულოდნელი. გულით გეძებთ, რატომ, რატომ ასე ადრე? შენ ხომ თავს მაშინ გრძნობდი კარგად, როცა შენს ახლობლებს სიამოვნებას ანიჭებდი. ცრემლები გვახრჩობს, გული გვიკვდება, როცა შენი დედიკოს ტანჯულ სახეს ვუყურებთ, რომელმაც შენთან ერთად დამარხა პირადი ბედნიერება. სიცილიც სამარეში გაგაყოლა. წარმოუდგენელი ტანჯვა არგუნე შენს საფიცარ დაიკოს. სიცოცხლით სავსე და დაუზარელი, აი, ასეთი იყო გიო შეროზია, რომელმაც თან წაიღო ის ულევი სითბო და სიყვარული, რომელსაც თვითონ უხვად გასცემდა. ცოდვააო ვამბობთ, მაგრამ ცოდვა ჩვენ ვართ, რომ ასეთი ვაჟკაცი დავკარგეთ.

ჩვენო გიო! ჩვენ კი ასე გვინდა მოგეფეროთ, როგორც საიმედო ნათესავს და მეგობარს. გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

***ბექა და ასმათ ხურცილავები.***

## რამისი კემულარია



22 მარტს შენი გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. მოურჩენელმა ავადმყოფობამ არ დაგინდო და წაგვართვა შენი თავი. ამბობენ, დრო ყველაფერის მკურნალიაო... არა, უბრალოდ ვცდილობთ ტკივილს გავუძლოთ.

მართლაც, რომ სიკვდილზე მწარე და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად. ვერაფერმა შეგვივსო ის სიცარიელე, რომელიც შენი წასვლით დაგვრჩა. ჯერ კიდევ გვიძნელდება ის გარემოება, რომ თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს. წახვედი და თითქოს დაცარიელდა სამყარო. დაგვიტოვე ცრემლი და ნაღველი. შენმა გარდაცვალებამ ყველას გული მოგვიკლა. უშენოდ მივყვებით ცხოვრების დინებას, არადა ოჯახს, შენს შვილებს ძალიან გვჭირდები... შენ ხომ თავგანწირულობამდე მზრუნველი იყავი ჩვენზე. გჯეროდეს, შენი სიკეთის, სტუმართმოყვარეობის, შრომისმოყვარეობის კვალი დიდხანს იცოცხლებს ჩვენს გულებში.

გვეამაყებოდი და ახლაც ვამაყობთ, რომ ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხარ. გვიყვარხარ და გვენატრები. უფალს შევთხოვთ, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. დაე, ჩვენმა სიყვარულით დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობისკენ.

***ოჯახი.***

## როცა ღამეს სძინავს

**(ვუძღვნი მამის–რამის კემულარიას ხსოვნას)**

გაზაფხულმა წვიმის რისხვით ამიტირა დილა,
გაისუსხა სიცივისგან მარტის თბილი მზერა,
ღმერთო, რატომ გამიჩერე გულის მშვიდი ფეთქვა,
მე ხომ შენი საოცარი ძალის, რწმენის მჯერა.
ტკივილისგან დაღლილ სხეულს აგონია ებრძვის,
წყდება, ქრება ოცნებები, სული შველას ითხოვს,
ზარებს რეკენ სამრეკლოდან, პირჯვარს ვიწერ ლოცვით,
შორს წასული სიცოცხლის გზა კვლავ სიცოცხლეს
იხმობს.

ნეტავ, რატომ გამიჩერე, რად დანისლე მთები,
ყვავილებზე მოფარფატე სულს გაბარებ მამის,
ჩემს მოტირალ ამ სტრიქონით ვეფერები ხსოვნას,
მოგონებებს მივსდევ ახლა, შევიშალო ლამის.
მაშინ, როცა დარდი სწუხს და როცა ღამეს სძინავს,
მუზა მოდის, ისევ მიდის, მაგრამ, როცა ველი,
ილვენთება შანდლის ფსკერზე ცხელი ლექსთა ბწკარი,
აღარც მუზებს შეშრობიათ თურმე თვალზე ცრემლი.
გაზაფხულმა მომახვია ტანზე ცხელი მარტი,
ნაბადივით დავატარებ მოჩვენებებს ღამის,
მუხლზე ვდგები, პირჯვარს ვიწერ, ღმერთო,
შეგთხოვ ლოცვით,
შეიწყალე მონა შენი, სულს გაბარებ მამის.

***ნინო კემულარია.***

## იმედო ბერიშვილი



უკვე მეორმოცედ თენდება უშენოდ იმე! უდიდესი ტკივილი, სევდა და მწუხარება ახლავს შენს მოგონებას, გაუსაძლისია ჩვენთვის, ჩემთვის და შენი ერთადერთი ცოტნესთვის შენი არყოფნა. რა გაანელებს იმ ტკივილს, მწუხარებას, რომელიც დაგვიტოვე, რა უნდა ვუყოთ იმ უსაშველო მონატრებას, რომელსაც შენი სახელი ერქმევა... გაოგნებული და გულდათუთქული ვარ უშენობით, მიუხედავად შენი ავადმყოფობისა, რას ვიფიქრებდი 47 წელს გაკმარებდა წუთისოფელი სიცოცხლისთვის, შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა, ოცნებობდი, ფიქრობდი... ლამაზ ფერებში ხატავდი მომავალს შენი ერთადერთი შვილისთვის... როგორ გინდოდა დამტკბარიყავი შვილის ცოტნეს სიყვარულით, რომელიც ყოველ დილით თვალცრემლიანი მიდის უშენოდ სკოლაში, მუდამ თან დასდევს შენზე ფიქრი, დარიგება, უსასრულო მონატრება...

უდიდესი სიყვარული და გაუსაძლისი ტკივილი დამიტოვე იმე! შენ ხომ დიდი გული გქონდა, გული სიყვარულით სავსე, გული ალალი და მართალი. უმძიმესი ტვირთი დამიტოვე, რომელიც ერთად უნდა გვეზიდა, მაგრამ გჯეროდეს, რომ შენს დათესილ სიკეთეს, სითბოსა და სიყვარულს გავუფრთხილდებით. შენს ერთადერთ ცოტნეს ვაჟკაცურად გაგიზრდი, არასოდეს დაგივიწყებთ, ცოცხალივით დაგიფიცებთ, არასოდეს გეტყვით „მშვიდობით“.

მუხლდაჩოქილი შენზე ვილოცებთ, ღმერთს შევავედრებთ შენს წმინდა სახელს. გვიყვარხარ!..

***შენი მირანდა და ცოტნე.***

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოგა ღურწკაიას ბებიის, დამსახურებული პედაგოგის, სოფლის მოჭირნახულე ქალბატონის

**ბაბუცა ახალაიას**

გარდაცვალების გამო.

---

მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა

**ლორიტა ჯიქია-ბუკია**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ეკა ტიბუას და ირაკლი ბერაიას მამისა და სიმამრის

**მამანტი ტიბუას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ზაირა ხურცია. შვილები: როზენი, ლუიზა, როზა ბერაიები, მაია ესებუა. შვილიშვილები: მედეა, ეკატერინე ბერაიები, ქრისტინე გეგენავა, ირინა, ზვიადი ქანდავაძეები, გაგა, ირაკლი, ნინო ხურციები. ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ (გაჯი) ბერაია**

---

ბაია და რომან ჯიქიები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ეკა და მაკა ტიბუებს და მათ ოჯახებს მამის

**მამანტი ტიბუას**

გარდაცვალების გამო.

# ს პ ო რ ტ ი

## ფეხბურთი

**3 აპრილს** ჩატარდა ტელეკომპანია რუსთავი–2-ის საბავშვო თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, სადაც ჭაბუკთა 9 და გოგონათა 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით–წაგებული ეთიშებოდა გათამაშებას. გოგონებში ხობის №1 საჯარო სკოლის გუნდმა ნახევარფინალში დაამარცხა ახალსოფლის გუნდი, ხოლო ჭალადიდელებმა ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდს სძლიეს. ფინალურ მატჩში კი პირიქით, ხობელებმა სძლიეს ჭალადიდელებს 2:1 და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

ჭაბუკთა შორის მატჩები დაძაბულად წარიმართა. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ნოჯიხევისა და ჭალადიდის ფეხბურთელთა გუნდებმა. ნოჯიხეველებმა დაჯაბნეს მეტოქე ანგარიშით 3:1 და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებული გუნდები მაისის თვეში ქ. თბილისში ფინალურ ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას და იმედია წარმატებით იასპარეზებენ.



შეჯიბრება ორგანიზებული იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ტელეკომპანია რუსთავი–2-ისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. პირველ ადგილზე გასული გუნდები დააჯილდოვა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ, რომელმაც სიტყვით მიმართა ტურნირის მონაწილეებს და წარმატებები უსურვა გამარჯვებულ გუნდებს.

## ჭადრაკი

დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აბსოლუტური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში ხობის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის და მარტვილის 66 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას, რომლებიც შვეიცარული სისტემით 7 ტურად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. ოთხდღიანი დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ.

10 წლიანებში პირველი ადგილი დაიკავა მაია ბეჭვაიამ (ზუგდიდი);

12 წლიანებში უძლიერესი აღმოჩნდა მარიამ დოლიძე (ფოთი);

14 წლიანებში საუკეთესო გახდა გიგი აბსარიძე (ფოთი);

16 წლიანებში გამარჯვებული გახდა ამირან კალანდია (ზუგდიდი);

სინიორთა შორის, ანუ ვეტერანებში 50 წლის ზევით პირველი ადგილი დაიკავა ზურაბ ლიფონავამ (სენაკი);

შეჯიბრებაზე ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა მადონა ბოკუჩავამ (ზუგდიდი).

დაჯილდოვდა შვიდ წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი დიანა ლომაია, რომელმაც ახლახან თბილისში 9 თამაშიდან 9 ქულით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ასახელა ჩვენი მუნიციპალიტეტი და მთლიანად სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი.

აბსოლუტურ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა ნიკა ღვამბერიამ (ფოთი);

მეორე ადგილზე გავიდა გიორგი გამზარდია (ფოთი);

აბსოლუტურ ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმო და ღირსეული გამარჯვებული გახდა გოჩა ჩაჩუა (ფოთი).

გამარჯვებულებს, დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოგა ღურწკაია და სამეგრელო–ზემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი გიორგი სალია, მათ სპორტსმენებს მიულოცეს ღირსეული გამარჯვება და შემდეგი წარმატებები უსურვეს.



გამარჯვებულები და პრიზიორები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. აბსოლუტურ პირველობაზე გამარჯვებულებს შესაბამისად ფულადი ჯილდოები ერგოთ 500, 300 და 200 ლარის ოდენობით.

ტურნირის ორგანიზატორი იყო მუნიციპალიტეტის გამგეობა, მუნიციპალიტეტის საკრებულო, განათლების ცენტრი და სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაცია.

## გეიმ შოუ „გუნდი“

**31 მარტს** ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში სპორტული და გასართობი თამაშების ასოციაციის, სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2-ის, საქართველოს პირველი ლედის ჯანსაღი ცხოვრების წესის „do noc worru be heahhu,



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ინიციატივით და პატრონაჟით ჩატარდა სპორტული სასკოლო ლიგის ფარგლებში სპორტული სატელევიზიო გეიმ-შოუ „გუნდის“–შესარჩევი გათამაშება. შეჯიბრებაში 16 საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას, აქედან ერთი გამარჯვებული იღებდა საგზურს ქ. თბილისში ფინალურ თამაშებში და სატელევიზიო ჩაწერებში მონაწილეობის უფლებას.

შეჯიბრება მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. იყო შეძახილები და მონაწილეთა გამხნევება. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხობის №1 და საჯიჯაოს საჯარო სკოლების გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში ხობის მუნიციპალიტეტის შესარჩევი ტურის გამარჯვებული გახდა №1 საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა, კოორდინატორი მერაბ კიტია). მეორე ადგილი დაიკავა საჯიჯაოს საჯარო სკოლამ (დირექტორი მაია შუშანია, სპორტის მასწავლებელი კორნელი ნადარაია, კოორდინატორი ღუღუნი მიქავა). ორივე სკოლამ პირველი-მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასები მოიპოვეს, რომელიც მათ მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ და გამგებლის მოადგილემ ბატონმა რევაზ წულაიამ გადასცეს.

ამრიგად, ქ. თბილისში ხობის მუნიციპალიტეტის ღირსებას №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები დაიცავენ და იმედია, წარმატებით წარმოაჩენენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ხობს სტუმრობდნენ რუსთავი–2-ის ცნობილი სახეები, შეჯიბრების წამყვანი იყო დავით გოგიშვილი, ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ მაკა ჯავახიშვილი, სპორტული და გასართობი თამაშების ასოციაციის ხელმძღვანელები ჯანო ჟვანია და დავით ქირია, ასევე გამოცდილი მსაჯები, ნუცას და ნიკას სპეციალურ ფორმებში გამოწყობილნი იყვნენ მაკო ლემონჯავა და გიორგი ყურუა, რომლებიც ცეკვით ართობდნენ მონაწილეებს და გულშემატკივრებს.

*ლევან ლემონჯავა.*



**კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადებაძ იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.**

გადმოცემის თანახმად, იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ მარიამ მაგდალინელი სახარების საქადაგებლად რომში ჩავიდა და ტიბერიუსს ეახლა. იმპერატორთან ძღვნის გარეშე მისვლა არ შეიძლებოდა. შეძლებულ მოქალაქეებს ძვირფასი საჩუქრები მიჰქონდათ, ხოლო ღარიბებს – ის, რისი საშუალებაც ჰქონდათ. მარიამ მაგდალინელმა, რომელსაც ქრისტეს რწმენის გარდა არაფერი ებადა, ტიბერიუსს ქათმის კვერცხიგაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა!“ იმპერატორმა განაცხადა, მკვდრეთით აღდგომა ისევე შეუძლებელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლებაო. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – სისხლისფერი გახდა.

აღდგომის დღესასწაულზე კვერცხების შეღებვის ტრადიციის შესახებ პირველ წერილობით ცნობას საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში, წმინდა ანასტასიას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული X საუკუნის ხელნაწერი გვაწვდის. ხელნაწერში მოყვანილი საეკლესიო წესდების ბოლოს ნათქვამია, რომ სააღდგომო ლოცვის შემდეგ აუცილებელია კვერცხისა და ყველის კურთხევის ლოცვის წაკითხვა. მოგვიანებით სააღდგომო კვერცხების დამზადება იუველირებმაც დაიწყეს. კარლ ფაბერჟეს სახელი დღემდე დეკორატიული სააღდგომო კვერცხების დამზადების ბრწყინვალე ხელოვნებასთან ასოცირდება. კვერცხები, რომლებშიც რთული დასაქოქი მექანიზმი იყო ჩამონტაჟებული, საიუველირო ხელოვნების სასწაულს წარმოადგენდა. თითოეული ნიმუში ინახებოდა სპეციალურ ფუტლიარში ან სეიფში და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე არასოდეს აკეთებდა ასლს. მისი თითოეული ნამუშევარი განუმეორებელია.

### როგორ შევღებოთ კვერცხი

არსებობს კვერცხების შეღებვის მრავალი წესი. ჩვენ რამდენიმეს, შედარებით მარტივსა და ხელმისაწვ-დომს გაგაცნობთ. ყველაზე იოლია, შეიძინოთ კვერცხის სპეციალური საღებავი და შეფუთვაზე მითითებული წესისამებრ გამოიყენოთ. ალბათ, ყველამ იცის, რომ კვერცხს ხახვის ფურცლის ნახარშშიც ღებავენ. აგროვებენ რაც შეიძლება მეტ ხახვის ფურცელს (ბევრი მის მოგროვებას აღდგომამდე 1 თვით ადრე იწყებს) და კვერცხს მასში ხარშავენ. ხარშვა სასურველი ფერის მიღებამდე გრძელდება. არსებობს სხვაგვარი წესიც: ხახვის ფურცელი ადუღეთ ნახევარ საათს, შემდეგ გადაწურეთ. ნახარშში ჩააწყვეთ უკვე მოხარშული კვერცხი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე, ვიდრე სასურველ ფერს არ მიიღებს. ამ გზით უფრო თანაბარი შეფერილობა მიიღება. კვერცხი ხახვის მშრალი ფურცლითაც შეიძლება შეიღებოს. კვერცხი მოხარშეთ, შემდეგ ცხელ-ცხელს სათითაოდ შემოახვიეთ ხახვის მშრალი ფურცლები, გადაახვიეთ ნაჭერში და კიდევ 10 წუთს ადუღეთ. წყალს ძმარი დაამატეთ. კვერცხიმოოქროსფრო-მარმარილოსებრ ელფერს მიიღებს. თუ კვერცხს ოხრახუშის ფოთოლს დააფენთ და მაგრად შეახვევთ დოლბანდში, თქვენსსააღდგომო სუფრას მოხატული კვერცხი დაამშვენებს. კვერცხის მოხატვა სხვაგვარადაც შეიძლება: სველი კვერცხი ამოავლეთ მშრალ ბრინჯში, მაგრად შეახვიეთ დოლბანდში, რომ მარცვლები არ მოშორდეს და ჩვეულებრივი წესით შეღებეთ. ბავშვებს ძალიან მოსწონთ კვერცხების შეღებვა აკვარელის საღებავითა და ფუნჯით. საღებავი სწრაფად რომ გაშრეს, უნდა შეიღებოს უკვე მოხარშული, ჯერ კიდევ თბილი კვერცხი.

### პრაქტიკული რჩევები

- თუ კვერცხს წინასწარ სოდიანი წყლით ან ძმრით გარეცხავთ, უფრო თანაბრად შეიღებება.
- ხარშვისას კვერცხი რომ არ გასკდეს, შეღებვამდე 1 საათს სითბოში ან ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ, ხოლო ხარშვისას წყალში ჩაამატეთ 1 სუფრის კოვზი მარილი – ნაჭუჭი რომც გასკდეს, გული არ გადმოიღვრება.



- შეღებილმა კვერცხმა რომ იბრწყინოს, გაამშრალეთ და ზეთი გადაუსვით.

### სამეფო პასქა



50 გ საფუარი გაქენით 200 მლ უცხიმო თბილ ნაღებში, შეაზილეთ 3 ჩ/ჯ ფქვილი. როცა აფუვდება, შეათქვიფეთ 200 გ შაქარსა და ამდენივე კარაქში გალესილი 15 კვერცხის გული, დაუმატეთ 3-3 ჩ/ჯ ნაღები და პურის ფქვილი, 10 ცალი დანაყილი ილი, ერთი მწიკვი ჯავზი, 50 გ დანაყილი ნუში, 100-100 გ დაკეპილი ცუკატი და ქიშმიში. ცომი დადგით თბილ, წყნარ ადგილას. როცა ცომი აფუვდება, შეზილეთ, ნახევრამდე ჩადეთ ცხიმწასმულ ყალიბში და გააჩერეთ მანამ, ვიდრე ყალიბის 3/4-ამდე არ ამოვა. პასქა გამოაცხვეთ 1800-ზე გახურებულ ღუმელში 45 წუთის განმავლობაში.1 კვერცხის ცილას შეაზილეთ 200 გ შაქრის პუდრი და 3 ს/კ ლიმონის წვენი. მოასხით მზა მინანქარი მზა პასქას და გასაშრობად შედგით 10 წუთით ღუმელში.

### სააღდგომო პური

7 გ. საფუარი გაქენით 150 მლ რძეში, დაუმატეთ 1 ჩ/კ შაქარი და გააჩერეთ 15 წუთით თბილ ადგილზე. შეაზილეთ 500 გ. ახალგაცრილი ფქვილი, 2 კვერცხი, 50 შაქარი, 80 გ კარაქი და 0,5 ჩ/კ ვანილი. მოაგუნდავეთ, გადააფარეთ ტილო და გააჩერეთ 40 წუთით. შემდეგ გაყავით სამ ტოლ ნაწილად, დააგრძელეთ 70 სმ-მდე, დაწანით გვირგვინისებურად, დადეთ ცხიმწასმულ თუნუქის ფურცელზე და გამოაცხვეთ 2000-ზე გახურებულ ღუმელში. გამოღებამდე 10 წუთით ადრე წაუსვით კვერცხის გული, ხოლო როდესაც მზად იქნება, მოაყარეთ შაქარი და გულში ჩაულაგეთ სააღდგომო კვერცხები.

### საცხრააპრილოდ

9 აპრილი–ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღეა!

* * *

9 აპრილს საქართველოში მეორედ დაიბადა წითელი ვეშაპის მიერ გადაყლაპული თავისუფლება.

* * *

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“–ეს ლოზუნგად ჰქონდა იმათ დროშას, ვინც 9 აპრილს მხუთავი გაზით მოწამლეს.

* * *

რაც ქვეყნად ია და ვარდია 9 აპრილს შეწირულთა საფლავებზეა მისატანი, ეკლესია მონასტრებში კი 9 ათასი სანთელია ასანთები.

*კოლმირა აბურჯანია*

### მოლოცვა

## თამარ შარვაშიძეს!



ჩემო პატარავ, გილოცავ დაბადების დღეს. მიხარია, რომ უკვე დიდი გოგო ხარ, მეთორმეტე ზეიმობ გაზაფხულსა და შენს დაბადების დღეს.

თამარ, იყავი ბედნიერი და ჯანმრთელი, გაზაფხულივით ლამაზი და მშვენიერი.

გილოცავ და მრავალ საუკეთესო სურვილს გჩუქნი.

*შენი ნანა ნათლია.*

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.

რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი–ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.